# თეატრი და ცხოვრება

№ 23

ფასი 15 მანათი

დაარსების წელიწადი მეათე, გამოცემის მერვე


გაუმარჯოს თავისუფალ ხელოვნებას თავისუფალ საქართველოში!
გაუმარჯოს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას!


„თეატრი და ცხოვრება"

წლიურად 500 მან., ნახევარი წლით 300 მან. თითო ნომერი—15 მან. ხელის მოწერა მიიღება: თბილისში, ბაზრის № 20 ქართ. ბეჭდვითი ამხ სტამბაში, რუსთ. № 26 ფოსტით: თბილისი, რედაქცია „თეატრი და ცხოვრება" იოსებ იმედაშვილს. ტელეფონი № 4—73.

სათეატრო, სალიტერატურო, სამუსიკო, სამხატვრო და საზოგადოებრივ შინაარსის ყოველკვირეული ჟურნალი.

დაარსდა 1910 წ. | კვირა, თიბათვის 27 | გამოცემა 1920 წ.


## დღეს მეორე ქართულ კლუბში „თეატრი და ცხოვრება"-ს საღამოა

(დაწვრილებით იხ. 16 გვ.)



აკადემიკოსი ნ. მარრი

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# კონგრესის მოლოდინში

სახალხო მუშაკთა გაერთსულოვნებული მუშაობა, ძალთა დაზოგვით გამოყენება იქნება ისე საჭირო არასოდეს არ ყოფილიყოს, როგორც დღეს.

ავიღოთ ჩვენი დაბა-სოფლების ჩამორჩენილობა და კულტურულ ძალთა სიმცირე...

თუ სადმე ათიოდე მოინტელიგენტო პირია, ჯგუფ-ჯგუფად დაიყოფებიან: შეადგენენ ერთი მეორის მოწინაალმდეგე სცენის მოყვარეთა წრეს, ანუ სახალხო სახლის წრე ცალკეა, დრამატიული ცალკე, სახალხო კითხვების ცალკე და სხ. ამგვარად ერთი ჯგუფი მოწინავეთა ქიქმატდებბ, თხელდება, სუსტდება... თითოეული მათგანი შესაფერ დარბაზის აგებას ცალკე ოცნებობს და მხოლოდ ოცნებობს...

ასეთ პირობებში მათ მიერ განზრახული გეგმაც სასურველად ვერ სრულდება: ცალკე ვერც სათეატრო დარბაზი შენდება, ვერც სახალხო სახლი...

ამ ძალთა დაქსაქსვას ბოლო უნდა მოეღოს.

უკვე უდავო ჭეშმარიტებადაა მიჩნეული სახალხო თეატრის კერძოდ და საზოგადოდ სახალხო სახლის მნიშვნელობა ჩვენი ხალხის გონებრივ—ზნეობრივ და საზოგადოებრივ გათვითცნობიერებაში. სახალხო თეატრმა დიდი სამსახური გაუწია, მაგრამ სასურველ დონემდე ჯერ კიდევ ვერ მიუღწევია.

ხალხის უმეტეს ნაწილს ჯერ კიდევ ვერ მოჰფენია ხელოვნება-კულტურის სხივები.

საჭიროა დაბა-სოფლებში ისეთი კერის შექმნა, სადაც ფრთას გაშლის სახიობა, სიტყვა, მუსიკა, მხატვრობა და საერთოთ ხელოვნება-კულტურის ყოველი დარგი.

სად უფრო მოწესდება ასეთი კერა?

ჩვენის აზრით უნდა მოეწყოს ერთი სახის **სახალხო სახლები,** რომელშიც უნდა მოთავსდეს ყველა ზემორე ჩამოთვლილი დარგი. საზოგადოებაც ერთი უნდა იყოს: **სახალხო სახლის საზოგადოება,** რომელშიც შემოჯგუფდებიან ყველა ადგილობრივი ძალები, ერთი გამგეობა ეყოლებათ, ერთი სალარო, ერთი გეგმით იმოქმედებენ, მაგრამ ყველა დარგს საკუთარი წრე განაგებს მაგ., დრამატიული, სამუსიკო, სათეატრო, სასამკითხველო და სხ.

ასეთი ხერხით ერთ ცენტრში შეიკრიბება ყველა მოწინავე, ხელოვნებისა და კულტურის მოტრფიალე ძალა და ამავე დროს თითოეული მათგანი იმ დარგში იმუშავებს, სადაც უფრო მეტი უნარის გამოჩენა შეეძლება.

და ასე უნდა მოეწყოს ყველგან.

ამის მოწესრიგება, ჩამოყალიბება-კი სახალხო სახლისა და სახალხო თეატრის მოღვაწეთა წარმომადგენლების კონგრესს შეუძლიან, რომლის მოწვევის თაოსნობაც იკისრა ჟურ. „თეატრი და ცხოვრება“-მ.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ზოგიერთ პირთ განუზრახავთ: შეადგინონ რკინის გზის სცენის მოყვარეთა კავშირი, თბილისის სცენის მოყვარეთა კავშირი და სხ.

ჩვენის აზრით, ასეთი გათვითოებული კავშირების დაარსება მიზან-შეუწონელია ..

დაე, მთელი ხალხის კულტურა ხელოვნების მესვეური შეიქმნეს ჩვენის ქვეყნის ყოველი კუთხის მთელის ხალხისავე სახელოვანო ასპარეზზე მომუშავე პირთაგან შემდგარი კონგრესი და მისგან რჩეული ცენტრი.

ამ ცენტრის შექმნაც რომ აუცილებელ საჭიროებად არის მიჩნეული, სხვათა შორის, მ უკიცდება ჩვენის ხალხის სულიერ წყურვილით და იმ მრავალ წერილებით, რომლებიც რედაქციას მოსდის.

მაშ ვემზადნეთ ამ კონგრესისთვის გარკვეული გეგმით, ნათელი და ფხიზელი აზროვნებით!

# ხელოვნების აღორძინება

(წარმოთქმული „თეატრი და ცხოვრება“-ს 10 წ. არსებობის შესრულების გამო საზეიმო საღამოზე „არტისტ. საზ. თეატრში“ ივნისის 13, 1920 წ.).

ხელოვნება არ არის განყენებული, დამოუკიდებელი დარგი ადამიანის შემოქმედებისა. ხელოვნება არის ცხოვრების ამონაკვესი, აღმოცენებული ისტორიულ ნიადაგზედ. ხელოვნებას ასაზრდოებს მთელი ერის სულისკვეთება, ერის მისწრაფება და მიდრეკილება. ხელოვნება არის სარკე ერის ცხოვრებისა, მისი შემოქმედების ნიჭი. რამდენათაც ერის ცხოვრება რთულია, რამდენათაც ერის სულისკვეთება ღრმა არის, იმდენათ რთული და დიადია ხელოვნება.

ძველი ეგვიპტე. მისი ბუმბერაზი ნაშთები ხელოვნებისა! ეგვიპტელი გაწრვთნილი მეურნე, რომლის ბედ-იღბალი და დოვლათი სავსებით იყო დამოკიდებული მძლავრი, ძლიერი მდინარისაგან, ეს მეურნე მთელი თავისი იმედებით დამყარებული ბუნების ძალებზე, უსუსური ბალღი იყო ბუნების მემოქმედების წინაშე. ბუნების ძლიერება, მისი დაუშრეტელი განძი თავისებურათ გამოხატა ეგვიპტელმა მეურნემ ცამდე ამართულ პირამიდებში და როდესაც თითონ ამოუდგებოდა ამ პირამიდებს გვერდში, დასდგებოდა დაუსრულებელი მდინარის პირზედ, ის გრძნობდა ადამიანის უსუსურობას, გრძნობდა, თუ რამდენათ განსაზღვრული იყო მისი ძალა და ძლიერება.

აყვავებული საბერძნეთი! ძველი ბრძენი ბერძენი აღტაცებული და აღფრთოვანებული ბუნების კეკლუცობით და სილამაზით; ძველი ბერძენი ზურმუხტის პირბადით წაფარებული ზღვის პირზედ, მოხიბლული, დამთვრალი, აღგზნებული გრძნობდა მსოფლიოს ჰარმონიას და გრძნობდა იმას, რომ ადამიანის შემეცნებას ძალუძს მიხვდეს სამყაროს სიდიადეს. ბერძენი ფილოსოფოსი გონებით და გულით მიხვდა, რომ უზენაესმა არსებამ გვირგვინი დაადგა სამყაროს—და ეს გვირგვინი არის ადამიანი, თვისი შემოქმედების ნიჭით. ბერძენი ფილოსოფოსი-ბრძენი დარწმუნდა, რომ ადამიანი არის მიკროკოსმოსი. ადამიანის არსება შეიცავს ბუნებას, სამყაროს ჰარმონიას. ადამიანი არის უდიდესი და უმშვენიერესი ქმნილება. მუხლ-მოდრეკილი, აღელვებული შეყურებს ბრძენი ერთ გარემოცულ ჰარმონიას, გვირგვინს ამ ჰარმონიისა—ადამიანს. მოაზორა ტანსაცმელი ადამიანს და ქვაში და მარმარილოში გამოხატა ადამიანის სხეულის სილამაზე.

საშუალო საუკუნეები! ცხოვრება ბოროტებაა! ადამიანის გრძნობა—სიყვარული, ადამიანის სხეული ბოროტების ჭურჭელია! ადამიანმა უნდა აღამაღლოს სული და დასთრგუნოს სხეული, განშორდეს ცხოვრებას. ცხოვრება—გოდებაა; ცხოვრება—ტირილია და არა სიხარული. ძაძით უნდა შეამოსოს ადამიანი. საშუალო საუკუნეების ხელოვნება აჰყვა ამ ჰანგებს.

მე XVIII საუკუნე. ევროპაში. ძველ წყობილების წესის აგებას შეუდგენ. განებივრებული, ფუქიზი თავადაზნაურობა, რომელსაც უკვე დაშრეტილი აქვს ყოველგვარი მისწრაფება, ეძებს ისეთ ძალებს, რომლებმაც უნდა აამოძრაოს დავრდომილი სული და გარყვნილი გემოვნება. ხელოვნება არის მხოლოდ მოსამსახურე, მან უნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა



დაატკბოს, გაართოს, გაამხიარულოს გარყვნილი და გახრწნილი გემოვნება. ხელოვნება სარკეა ცხოვრებისა, მუდმივ ემსახურებოდა ცხოვრების ბატონს, მას ვინც მეფობდა; ემსახურებოდა თავად-აზნაურობას, ემსახურება და ემსახურებოდა ბურჟუაზიას, რომელმაც სძლია ძველი წოდებრივი განკერძოება.

კაპიტალისტურ ხანაში, კაპიტალიზმის ბატონობის ხანაში ხელოვნება არის მორჩილი და მონა.

მე XIX და XX საუკუნეების საზღვარზედ გადიხარა ცხოვრება, დაუსრულებელ ბრძოლაში თან და თან ახალი სიმაგრეები დაიკავა დემოკრატიამ, მუშამ. სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა არ დამთავრებულა, მხოლოდ დემოკრატიის ძალა იგრძნეს. დიდებული როდენი უხვ ქანდაკებაში—მუშა—გამოხატავს ძლიერებას და ძალას ამ ბრძოლისა. მუშა არის ძალა, ის ქმნის სიმდიდრეს, და ის უნდა იყვეს ამაღლებული. როდენი ფილოსოფოსი ჩაიხედავს ცხოვრებაში, ძალთა ტრიალის ძარღვს მიაგნებს.

საქართველო! საქართველომ გზა-ჯვარედინზედ განიცადა აღმოსავლეთის და დასავლეთის გავლენა, გადაადუღა, თავის სისხლითა და ხორცით შემოსა გავლენა, შთაბერა თავის სული. საკუთარი გზა ხელოვნების შემოქმედებისა მოიპოვა. ასი წლის უცხოელების ბატონობამ შეაჩერა, შეაფერხა თავისუფალი შემოქმედება. დღეს მან ბორკილები დაამტვრია, თავი დააღწია უცხოელებს და თითონ აშენებს თავის ცხოვრებას. აღარ არის ბატონი, მბრძანებელი, თითონ არის საქართველოს ერი თავის ბედნიერების მჭედელი. ასი წლის მონობამ ვერ ჩააქრო შემოქმედების ნიჭი, მიჩუმებული და მიდუმებული ძალები ამოძრავდენ და საშინელ პირობებში, გარშემორტყმული ბარბაროსებით აწყობს სახელმწიფოს. აწყობს თვის ერის დემოკრატია თავის ბედიღბალს. დიდი ასპარეზი გადიშალა. ცხოვრების ბატონ-პატრონი არის დემოკრატია და მხოლოდ დემოკრატია.

აღორძინდა, მკვდრეთით აღსდგა საქართველო, აღორძინდება ხელოვნება, აღორძინდება შემოქმედება. აღორძინდება ხელოვნება, რომელიც დემოკრატიის სულისკვეთებას გაყვება.

მკვდრეთით აღმდგარ საქართველოს თურმე მიმალული ყოლია თავგანწირულნი მუშაკნი; ახალი ცხოვრების კალატოზები.

ხელოვნებას თავისუფალს—უეჭველია, გაუჩნდება საკუთარი მესვეურნი და მაგალითიც არის, ცოცხალი.

25 წელიწადი უანგაროთ, თავდადებით, უდიდესი სიყვარულით ემსახურება ხელოვნებას იოსებ იმედაშვილი. აიღო ლამპარი მან მაშინ, როდესაც გარშემო უფსკრული, სიბნელე იყო და ჯალათობა ერის სულისკვეთებას ხვდებოდა. გატაცებული, აღფრთოვანებული მძიმე სამსახურს ეხებოდა იგი და 25 წლის წინეთ ანთებული ლამპარი მოიტანა დღემდე. მას შეუძლია გაიმეოროს ბრძენის სიტყვები: რაცა მაქვ—სთან დამაქვს. მხოლოდ ახალგაზდა გული და სიყვარული საქართველოს ხელოვნებისადმი,—აი ჩემი სიმდიდრე, რომელიც არ გაიცვლების არაფერზედ.

ეს მუშაკი არის სიმბოლო ჩვენი ხელოვნების წარსულისა და აღორძინებისა.

მრწამს თავისუფალ საქართველოში ქართული ხელოვნება, დიადი, დემოკრატიის მოამაგე აღსდგება და აღორძინდება.

**პროფ. ს. ავალიანი**

# დები შავერზაშვილები



მარო და თამრო

აი, ჩვენი განახლებული სამუსიკო ხელოვნების ორი ნორჩი, ჯერ გაუფურჩქვნელი ყვავილი.

მარო და თამრო, ქუთათურ ქართველ კათოლიკეთა ასულნი, დედით ადრე დაობლებულნი, სიღარიბეში აღზრდილნი, თვისი შრომით და უნარით სამუსიკო მოღვაწეობისთვის მომზადებულნი.

მარო თბილისის სამუსიკო სასწავლებელში სწავლობდა პროფ. რიადნოვის ხელმძღვანელობით, 1915 წელს კურსი დაამთავრა და საზოგადოების წინაშე პირველი გამოსვლისათანავე საყოველთაო ყურადღება მიიპყრო როგორც დამუშავებულ და სასიამოვნო ხმის პატრონმა... მისმა გამოჩენამ ქართული ეროვნული ოპერის მოტრფიალეებს სანუგეშო იმედები აღგვიძრა. გარდა მსახიობობისა, მარო იმედს იძლეოდა, რომ იგი ხმის დამუშავებისა და გაფაქიზება-დაყენების ნიჭიერი მასწავლებელიც იქნებოდა (ეს საქმითაც გვიჩვენა), რაიც ასე საჭიროა ჩვენი სამუსიკო სწავლა-განათლებისათვის..

მისმა უმცროსმა დამ თამარმა გაათავა სამუსიკო სკოლა (აიზბერგის კლასი). სხვათა შორის ა. წ. ივნისის 10 სახელმწიფო თეატრში ი. გრიშაშვილის საღამოზე ი. სარაჯიშვილმა იმღერა მისი რომანსი „ლერწამი ხარ!“ (სიტ. გრიშაშვილისა), რამაც მთელი საზოგადოება აღტაცებაში მოიყვანა და მქუხარე ტაში გამოიწვია; მანვე დასწერა დუეტი „სამშობლო“ (სიტყ. რ. ერისთავისა).

მათი ძმა ვასოც სამუსიკო ასპარეზზე მუშაობს, მაგრამ ხელმოკლეობის გამო ცხოვრების სიდუხჭირეს ვერ დაჰხწევია.

უფროსი და მარო შავერზაშვილი დღე-ღამეს ასწორებდა, უზომოდ შრომობდა; თვითონ სწავლობდა, იმავე დროს სხვას ასწავლიდა, რომ თავისი დაც თამარი მუსიკოსად აღეზარდნა... ნატვრა შეისრულა, მაგრამ რაი: გადამეტებულმა შრომამ იგი მოჰქანცა და ეს ერთი წელიწადია ეს გაუფურჩქვნელი ნაზი ყვავილი—ლოგინშია ძვალ ტყავად ჩარჩეული... მისი პატრონია ხელმოკლე ნათესავი ვ. ბუდაგოვისა და ერთად-ერთი დაი თამარი, რომელიც უზომო შრომაშია, რომ და სიკვდილს გამოაგლიჯოს, ამავე დროს თავიც ირჩინოს, მუსიკასაც ემსახუროს... ძმა ვასო თავის წვრილშვილსაც ვერ გასძღოლია.

და ასე, ეს ორი ნორჩი ყვავილი, რომელთა გაფურჩქვნა დიაღაც საამო სურნელებით შეამკობს ჩვენს სამუსიკო დარგს, დღეს გაჭირვებულ ცხოვრებასთან ბრძოლაში იხარჯება.

ნუ თუ ჩვენი საზოგადოების გული და გრძნობა იქამდე გაქვავდება, რომ ჩვეულებრივ ფარისევლობას

ეროვნული ბიბლიოთეკა



თავს არ დაახწევს და ამ სამუსიკო მარგალიტებს სილარიბე-სიდუხჭირეს არ გამოსტაცებს?..

ორივე დას ახლავე ეჭირვება ხელის გაწვდენა, ნივთიერი დახმარება: პირველს მაროს,—რომ ლოგინიდან წამოვაყენოთ, ხოლო მეორეს თამროს—რომ ლუკმაზე ზრუნვას ჩამოშორდეს და განსაკუთრებით მუსიკის სამსახურს შეუდგეს.

ორივე და ღირსია ხელოვნების კომისიის, სამუსიკო საზოგადოებისა და სხვათა ყურადღებისა. ეს ორივე და ერთი ათად აგვინაზღაურებს დანახარჯს და ჩვენს საოპერო დარგშიც საუკეთესო ყვავილებად ჩაექსოვებიან თუ მათი ცხოვრება გავაუმჯობესეთ როგორმე...

**იოსებ არიმათიელი**



**მ. ა. შავერზაშვილი**

პირველად გამოსვლის ჟამს 1915 წ.

# შენიშვნები ხელოვნებაზე

I

მკითხველი არა ერთხელ შეხვედრია აფიშებში ამნაირ გვარებს; „კნიაჟნა წერეთელი“, „თავადი ფანჩულიძე“, „თავ. თარხანოვი“ და სხვა.

ჩვენი მტრის—და ისიც საბჭოთა მისიის—გასახარებლად ესლა გვაკლდა:

„ხომ ვამბობდით, საქართველოში ფეოდალიზმის ნაშთებია დარჩენილიო“.

იტყვიან.

საშუალო საუკუნის ქართველი ბატონიშვილები და მეფენი რომ მწერლობდნენ, თავიანთ მეფურ „ტიტულებს“ არ ალამაზებდნენ ქაღალდზე.

რაღა საშუალო საუკუნეებისკენ მივდივართ, რომანოვების გვარში ერთადერთი ნიჭიერი განსვენებული დიდი მთავარი კონსტანტინე კონტანტინესძე (ავტორი პიესა „მეფე ებრაელთა“, გვარსაც კი არა აწერდა თავის ნაწარმოებს.

და საქართველოში, სადაც მე 12 საუკუნეშივე უკვე გაისმა ხმა ადამიანის პირადი ღირსების წინ დაყენების გვარტომობაზე, სადაც დღეს კანონითაც კი აღკრძალულია „თავ-დობის“ ხმარება, ეს პატარა საზოგადოების ჭიანჭველები გამოდიან და თავიანთ „ტიტულებს“ აფიშებზე აკრელებენ, რასაკვირველია, ყოველ გონიერ ქართველს ღიმილს გვრის.

თქვენო უბრწყინვალესობანო! სადაც და ვისთანაც გნებავთ აქეყნეთ თქვენი გვარიშვილობა, ოღონდ უმორჩილესად გთხოვთ ხელოვნებას თავი დაანებოთ.

ჩვენს ხელოვნებას სჭირია **ხელოვნების თავადნი** და არა გაკოტრებულნი ფეოდალნი...

II

ბევრი დაწერილა და იწერება ჩვენი სათეატრო ხელოვნების კრიზისზე. ჩვენს ხელოვანთ არა ყავთ მოთავე სიმართლე უნდა ითქვას, ვინც ყავდათ, დღევანდელამდე ვერ შეასრულეს თავიანთი მოვალეობა.

საჭირონი არიან ახალი მოთავენი.

ზაფხული მალე თავდება: საჭიროა სეზონისთვის მზადება, რომ შარშანდელი სირცხვილი არ დაგვემართოს. გვყვანან მომღერლები, საოპერო რეპერტუარიც. გვყავს ოპერის უფლებო მეთაური მიხ. ნანობაშვილი.

საჭიროა მას მიეცეს მეტი უფლება და გაეღოს კარები სახელმწიფო თეატრისა, რომ ამ თეატრში ისმოდეს მშობლიური ჰანგები და არა უცხო ერისა. სათანადო პროექტი წარდგენილია მთავრობასთან. საჭიროა მისი საჩქარო განხილვა.

აგრეთვე უნუგეშოდაა დრამა.

მისი ბინა უნდა იყოს არტისტიულ საზოგადოების თეატრი. დროა, ჩვენი უსაქმო მსახიობნი მოშორდნენ ყოფილ სათ—აზნაურო ქარვასლის წინ უბრალო ხეტიალს. ახალ და ძველ მსახიობთ სჭირია მეთაური, ეს მეთაურიც გამოჩნდება: ალ. სუმბათაშვილი! საჭიროა მისი საჩქაროდ გამოწვევა მოსკოვიდან და სახელოვნო ორგანიზაციის სათავეში დაყენება.

ალ. სუმბათაშვილი, რომელმაც თანამედროვე რუსის თეატრი აიყვანა უმაღლეს სამხატვრო წერტილამდე, თავის მომავალ თანაშემწეების: ნ. მარჯანაშვილის და სხ. დახმარებით შესძლებს ჩვენი ავადმყოფი დრამატ. ხელოვნების განკურნებას.

ყველა ზემოაღნიშნული უნდა გატარდეს ცხოვრებაში საჩქაროდ დამფუძნებელ კრებ. ხელოვნების კომისიის, სამუსიკო და დრამატიულ საზოგადოებათა მიერ.

**ხ. წერეთელი**

# დაუვიწყარი გლოვა

(ამხ ნოე ჩხიკვაძის ხსოვნას)

შურისძიებით ავანთებ ალმურს,
ცას მივეჭრები გააფთრებული,
რომ გამოვსტაცო მსოფლიოს უკუნს
სიცოცხლის სხივი აყვავებული.
მზიურ ფიქრებით შევფოთლავ სურვილს;
არეს დავაკმევ სურნელს ნაზ და ნელს...
მაგრამ... ვაგლახ მე... გლოვით ვკლავ წყურვილს
და შენს საფლავზე ვაფრქვევ ცხარე ცრემლს.

**მიმქრალი**

# ძღვნად ჩვენს მეომრებს

(მაისის 26-ისთვის)

როცა რუსეთს გამოვეყეთ და ჩვენი დამოუკიდებლობა გამოვაცხადეთ, ბევრს ამ მოვლენამ ფრთები შეასხა, უკეთეს მომავალს იმედით შეხედა; ბევრი კი უიმედობამ მოიცვა და დააფიქრა: ვაი, თუ ჩვენი თავისუფლება ხანმოკლე გამოდგესო. მტრები ხომ მაშინვე შეუდგნენ სულთათანას გალობას და იწყეს ჩვენთვის სამარის გათხრა.

მაგრამ რა დაგვანახვა ჩვენი თვითარსებობის ხანმოკლე ისტორიამ?

უკვე ორი წელიწადი შესრულდა რაც საქართველო დამოუკიდებელ ცხოვრებას ეწევა და ამ ხნის განმავლობაში ჩვენი სახელმწიფო თანდათან ეწყობა, ძალა მისი ვითარდება. ბევრი ომი და გაჭირვება გამოვიარეთ, ბევრჯელ განსაცდელი გადაგვხდა, მაგრამ მუდამ გამარჯვებული გამოვდიოდით, მტერი-კი თვის გათხრილ სამარეში თვითონვე ჩაესვენა, ხოლო საქართველო მის საფლავზედ ამაყათ აფრიალებს გამარჯვების დროშას.

ყველა ეს გვასწავლის იმას, რომ საქართველოს დამონება არც ისე ადვილია, როგორც ეს ჩვენს მტრებს ჰგონიათ.

საქართველო ადგილ-მდებარეობით და ასი-ათასი მეომრით მუდამ გასცემ პასუხს, თუნდაც სამჯერ მეტს მტერს. ამას გვიჩვენებს ჩვენი წარსული ისტორია და ამასვე ლალადებს დღევანდელი ჩვენი საქმიანობა. თუ წინად საქართველოს ერთი მესამედი ახერხებდა მტერთან გამკლავებას და შესძლო სამი ათას წელს არსებობა, დღეს გაერთიანებული საქართველო ამას უფრო აუვილად შესძლებს. წინათ ომის ბედს უმრავლესობა სწყვეტდა, დღეს უმცირესობასაც შეუძლიან მომხდური უმრავლესობა დაამარცხოს. ამის მაგალითი მოგვცა იაპონიამ და ბურების თავგადასავალმა. ამიტომ ჩვენს დამოუკიდებლობას მტკიცე რწმენით შევყურებთ და ღრმათ გვწამს ერის უკეთესი მერმისი. ვისაც ასე არ ესმის, ჩვენი ისტორია არ იცის.

ვინც ჩვენს დამონებას მოინდომებს, მას საქართველოს ბუნებრივი ციხე-სიმაგრის არა გაეგებარა. ჩვენმა წინაპარმა იცოდა ბუდე სად უნდა გაეკეთებინა და არწივები დაეზარდნა. ვერდენი პერემიშლი არ იყო. ამიტომ გერმანელებმა ვერ შემოუარეს. კავკასიონის კალთები რუსეთის მოტლეკილი ველი არ არის, რომ აქ ყველამ გაინავარდოს.

საქართველოს დამონებას 500000 მეომარიც ვერ შესძლებს, ამდენის მოყვანა ან გამოკვება ძნელად თუ ვისმეს შეუძლიან. ვერც დანგრეული რუსეთი, ვერც ოსმალეთი და თუნდ ინგლისი ამას ვერ გაუძლებს. აი, ამიტომ უნდა გვწამდეს მარად ჟამს ჩვენი უძლეველობა.

სამოც და ორი წელიწადი შამილმა დაუნგრეველ რუსეთს საქმე გაუჭირვა. რას გვიზამს დანგრეული რუსეთი? გინდაც გვეომოს თუნდ ათი წელი. უჩვენოთაც მას დრო დაამარცხებს.

ჩვენ ვიცით ეს და მისთვის შევხარით ჩვენს დამოუკიდებლობას, მისთვის ვზეიმობთ ამ საყვარელ დღეს!..

**მიხ. დევაძე**

# ფიქრთა ნაწყვეტები...

I

(ს. კალაჩას გორაკზე).

საღამოა. მწვანით შემოსილ გორაკს თან მოსდევს ატეხილი ყანები. ირვლივ სიჩუმეა. ჩამამავალი მზე მწვანეთ შემოსილ ბუნებას სისხლის ფერს უმატებს... ოქროს ფერ-ნარევს სხივებს ეთამაშება პურის თაველი... მასაც თითქოს ვისიმეს სცხვენია, თავს დაბლა იხრის და წავარცხნილ ქოჩორს ნელის რხევით ისწორებს...

შებინდდა. ნელმა სიომ შეარხია მიძინებული არემარე. ღლისით გულგადამწვარ პურის ყანებს თითქოს იამა. მანაც გამოიღვიძა. სიომ იმატა. მალე ძღელვარე ზღვათ იქცა ყველაფერი. ჩიტუნიებიც ახმაურდნენ... შორეულ დილის პირიდან ბულბულის სტვენამ დაატკბო არე-მარე...

საერთო ბუნების ჰარმონიას ჩაკვირვებიხარ; ჯადოსნურ სილამაზეს წარუტაცნიხარ თავის წიაღში... რალაც შვებას გრძნობ... გავიწყდება ყველაფერი... ივიწყებ ყველაფერს. მიისწრაფი ბუნების დიადობისკენ, გინდა წახვიდე... წუთიერად მაინც იგრძნო შვება, წუთიერათ მაინც მოსცილდე ბოროტ ქვეყანას და ბუნების სისპეტაკეში ჩაეშვა.

ვფიქრდები...

თოფების ხმა აოლვევს მყუდროებას. შენც მკვირცხლად ილვიძებ. ერკვევი. ცხოვრების სინამდვილე: „ბრძოლა ეროვნულ არსებობისათვის“-ო, ჩაგესმა ყურში. მაღალ მთის მწვერვალიდან მოსჩანს მტრის ცეცხლიანი ბანაკი; უკან ჩვენები.

თოფ-ზარბაზნების ჰექა-ქუხილი მატულობს... ჩაცხრება ბრძოლა. ჰაერი ხურდება... კვლავ ივიწყებ ყველაფერს და ბრძოლისაკენ მიეშურები. ცოტა ხანი და შენც „არსებობისათვის ბრძოლა“-ში ერევი. ბრძოლა ვითარდება...

**განთიადი**

# ქ. ზუგდიდის სახ. სახლის ისტორია

მკითხველებს კარგათ მოეხსენებათ, რომ 1919 წლის წლიურმა კრებამ ზუგდიდ-სამურზაყანოს რაიონის კოოპერატივთა კავშირის რწმუნებულებისაგან, გამგეობას დაავალა შეეძინა შენობა საზღვარგარეთელ კოოპერატივების გეგმით სახალხო სახლის მოსათავსებლად. კრებამ ამ მიზნისთვის მოგებიდან გადასდო 40,000 მან. და ხარჯთაღრიცხვაში შეიტანა 200,000 მ. ეს გეგმა შედგენილი იყო თვით გამგეობის მიერ და რასაკვირველია როცა დასტური მიიღო კრებისაგან მაშინათვე შეუდგნენ ამ დიად საქმის განხორციელებას. ის იყო რომ გამართა მოლაპარაკება გამგეობის თავმჯდომარე ტერენტი ლატარიამ ქ-ნ ჯიქიასთან მისი შენობის შესაძენად და როცა საქმე სასურველად მოგვარდა, მაშინ გამგეობამ დაადასტურა მისი ნაბიჯი. შეთანხმება მოხდა 150,000 მანეთად. ორი კვირაში ნატარიალური წესით უნდა დაემტკიცებინათ ქონება, ხოლო მანამდე უბრალო პირობა დასწერეს. ხსენებულ დროს გამ. თავ. ტ. ლატარია ავად გახდა, უიმისოდ საქმეს გათავება შეუძლებელი იყო. ზუგდიდის სამაზრო ერობამ კი ისარგებლა შემთხვევით.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჯერ დააშინა გამყიდველი: სულ წაგართმევთ შენობასო, მერე წაუმატა 60,000 მ. და გადიბირა გამყიდველი. ის იყო პირობა უნდა დაეწერათ როცა ეს შეიტყო კავშირმა. მიუხედავად ავადმყოფობისა ლატარიამ მაინც იმ ღამესვე მოუყარა კავშირის გამგეობას თავი. დააჯერა გამყიდველიც და შეიძინა ეს შენობა 200,000 მანეთად. ერობა კი დარჩა ცარიელზე.

ასე ამ რიგათ ერობის გამგეობამ საზოგადოებას წაავებია 50,000 მანეთი და კერძო პირს ჩაუჩხრიალა.

შემდგომ ამისა კავშირის გამგეობამ მისწერა ერობის და ქალაქის თვითმმართველობას, რომ თუ შესაძლო იქნებოდა იგინიც დახმარებოდენ ამ საქმეს. მაგრამ არც ერთმა ორგანიზაციამ პასუხი არ გასცა. მაშინ გამგეობა თვითონ შეუდგა სამზადისს. მოიწვია ინჟენერი, შეადგინეს პლანი, შეიძინეს ზოგიერთი მასალები და აპრილის რიცხვებში ნაწილობრივი მუშაობა უნდა დაეწყოთ. ამ დროს, დახეთ, საუბედუროდ ისევ გამოჩნდა ერობა ყრილობის სახით, რომელიც ადგენს: ერობის გამგეობა კოოპ. კავშირთან შეთანხმებით სახალხო სახლისთვის შეძენილი სახლი შეისყიდოს გიმნაზიის საჭიროებისთვისო. რამდენიხანია ეს დაადგინეს. კავშირს არ უნდოდა საქმის გამწვავება, მაგრამ ბოლო კი არ უჩანს. ერთი ორგანიზაცია მეორეს ხელს უშლის და დიდი საქმე კი რჩება ისევ საოცნებოდ. მე ურჩევდი კოოპ. კავშირის გამგეობას ან მისი რწმუნებულთ ყრილობას თუ მაინც და მაინც იქნება ამ შენობის დათმობა მაშინ მას მიეღო ერობისაგან: 1) საკუთრებად საჭირო მიწა სახალხო სახლისთვის არა ნაკლებ ერთი ქცევისა, 2) ეს შენობა გადაეცა ერობისთვის ახალ—შეფასებით, და სახალხო სახლის აშენება დაიწყოს ზაფხულში მაინც.

**ძველი**

# კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

**(კოოპერაცია, პროფესორის შარლ ჟიდისა, იასონ გაბილაიას თარგმანი)**

(დასასრული იხ. „თ. და ც.“ 22)

და 4) კოოპერაცია და ეკონომიურ წყობილებაში მისგან მოსალოდნელი გარდაქმნანი. ეს სიტყვა პროფესორმა წარმოთქვა პარიზში, მომხ. საზოგადოებათა ინტერნაციონალური კონგრესის გახსნაზე, 1899 წ., 8 სექტემბერს, მსოფლიო გამოფენის დროს.

პროფესორ ჟიდს განხილული აქვს საკოოპერაციო მოძრაობა საფრანგეთში, კოოპერაციების წარსული და აწმყო, კანონმდებლობა კოოპერატიულ ამხანაგობათა შესახებ და კოოპერაციის განვითარების დამაბრკოლებელი მიზეზებიც.

ქართულად გადმოთარგმნილი წიგნი თავდება დიდათ საიმედო სიტყვებით, რომელსაც აქვე მოვიტანთ:

„რამდენიმე დროს შემდეგ, სოციალისტურ პარტიას კოოპერაციისადმი დამოკიდებულების საქმეში დიდი ცვლილება ემჩნევა. ეს საბედნიერო ცვლილება ბელგიელ კოოპერატორთა გავლენით მოხდა. ცნობილია, რომ ამ ქვეყანაში სოციალიზმსა და კოოპერატიზმს წინ მიუძღვის ერთი და იგივე დროში და, მაგალითად, გენტის მომხმარებელი საზოგადოება „წინ“ (Vooruit) — ერთი უდიდესი კოოპერატივთაგანიცაა და, ამავე დროს, სოციალისტური პროპაგანდის მძლავრი იარაღიც. ჩვენ აქ არ დავიწყებთ მისი ისტორიის მოთხრობას, მარა გავიმეორებთ მხოლოდ ანსელის სიტყვებს, რო „მომხმარებელი საზოგადოება წარმოადგენს ისეთს სიმაგრეს, საიდანაც მუშათა კლასი კაპიტალისტურ საზოგადოებას ქართოფილითა ოთხ გირვანქიანი პურით შეუტევსო“.

ამ გვარათ, კოოპერატივები კლასიურ ბრძოლის ასპარეზზე ომის იარაღის როლში გამოდიან, მართალია, საფრანგეთის ახალ შკოლას ასეთი მიზანი არ დაუსახავს. იგი, პირიქით, იმედოვნებს, რო კოოპერატივები სოციალური მშვიდობიანობის იარაღათ იქცევიან და, მიუხედავად ამისა, თუმცა მიზანი სულ სხვადასხვა ნაირია, მარა ათი გასახორციელებელი საშუალებანი თითქმის ერთნაირია, ვინაიდან იქაც და აქაც ამ საშუალებებს წარმოადგენს; მუშათა კლასი შეკავშირება, მისთვის კაპიტალების მიწოდება, კომერციულისა და სამრეწველო ასპარეზზე საჭირო ცოდნით მისი შეიარაღება, მისი მომზადება იმ მომენტისთვის, როცა მან ხელი უნდა მოკიდოს ეკონომიური ცხოვრების მართვა-გამგეობას და, დასასრულ, ამ გამარჯვების მომზადება შუამავლებისა, ვაჭრებისა, ან კაპიტალისტების მოსპობით და მოხმარებისთვის წარმოების დამორჩილებით.

პარიზის კონგრესზე, 1889 წ. ბელგიიდან მრავლათ ჩამოსულმა დელეგატებმა თვისი სახელგანთქმული წარმომადგენლის, ცეზარ დე-პაპის პირით თანხმობა გამოაცხადეს, ზოგიერთი შენიშვნებით, ჩემ მიერ კონგრესის გახსნაზე წარმოთქმულ სიტყვაში გატარებული პროგრამის მიღებაზე.

იგივე ცეზარ დე-პაპი, კოლექტივიზმის ერთი დამაარსებელთაგანი, „Revue Socialiste“-ის ფურცლებზე არა ერთხელ გამოსულა კოოპერაციის ქომაგათ: „მუშათა თანამედროვე მოძრაობაში მტრედუნიონიზმს, კოოპერატიზმს, საურთიერთო დახმარებას, სახელმწიფოს ჩარევას, კოლექტივიზმის, კომუნიზმს უყურებდენ, როგორც ერთმანეთის მეტოქე მოძღვრებებს. ჩვენ კი, პირიქით, ეს ფორმები ერთის და იმავე იდეის მისაწევ საშუალებათ მიგვაჩნია: ამხანაგობის, სოლიდარობისა და სოციალიზაციის. ეს არის იმ ერთი გზის ეტაპები, რომელიც იდეალს გვიახლოვებს: „ერთი ყველასთვის, ყველა ერთისთვის“ *). კოოპერატორების დევიზიც, როგორც მოგეხსენებათ, სწორეთ ესაა“.

ბუნებით უხვათ დაჯილდოებული, „ცა ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტი“ ჩვენი ქვეყანა, სადაც დიადი მზე თვისი მხიარული, ცხუნვარე სხივებით გვათბოჩს და გვეპატიჟება, გვიწვევს შრომისთვის, აღგვიძრავს მრავალ გვარ კაცთმოყვარე გრძნობებს, გვიმდიდრებს ფანტაზიას და საქვეყნო იდეალებისთვისაც მაჯას ძალზე გვიქავებს, გვაწერიებს ლექსებს და მოთხრობა-რომანებს, სხვადასხვა სტატიებს და ტრაქტატებს, გვათხზევინებს ოპერებსაც კი და გვაიძულებს ვისწავლოთ მეცნიერება, დიდი და ძლიერი, მდიდარი და რთული მეცნიერება და დავაკვირდეთ ვარსკვლავთა, მზე მთვარის საოცარს მოძრაობასაც. განა ეს ქვეყანა ერთს წუთს უნდა გვაძლევდეს ტყულა გაჩერების ნებას და არ ვშრომობდეთ დღე და ღამე, რო წამოვეწიოთ ჩვენზე უფრო წინწაწეულებს და განვითარებულ ხალხებს, რომელთაც საკუთარი შრომითა და ღვაწლით გაჭედეს თვისი სანატრელი, დიდი და მდიდარი ცხოვრება?!

და სწორეთ საქართველოს დიადი სიტურფე და ამ ტურფა ქვეყნის დიდი და ღრმა სიყვარული არ უნდა გვასვენებდეს ერთ წუთსაც და ჩვენი საკუთარი, ინდივიდუალური შრომის უნარიანობით და ნაყოფიერობით უნდა საქვეყნოთ ვამაყობდეთ, პატივისცემისა და ღირსეულად შეფასებას უნდა მოვითხოვდეთ სხვებისგან, უცხოელებისგან და ჩვენი საკუთარი შვილებისა და შვილიშვილებისგან.

მიუცილებლად, ეს იყო ერთი ძირითადი მიზეზი, ესე იგი ეს იყო ჩვენ პოლიტიკურ ბრძოლასთან ერთად, ჩვენი ქვეყნის საოცარი ბუნების სიმდიდრე და აგრეთვე ამ ქვეყნის შვილთა კლასიკური, დიდი და ძლიერი თვი-

*) Le communisme relati—„Revue Socialiste“, მაისი 1890 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



სი დროის შესაფერი, რასაკვირველია, თავგადასავალი, რომ უმაღლესმა საბჭომ ეს ერთი მუჭა ქვეყანა იცნო პოლიტიკური დამოუკიდებლობის ღირსათ, თორე ჩვენთვის უამისოთ, აბა თავს ვინ შეიწუხებდა?!

ცხადია, ის დიდი და ცხოველი იდეა, რომელსაც ემსახურება ბ-ნი იასონ გაბილაიასგან ქართულად გადმოთარგმნილი წიგნი პროფესორის ჟიდის, იდეა ამხანაგობისა, თანამშრომლობისა, ან კოოპერაცია უნდა ჩვენი ცხოვრების ქვაკუთხედი შეიქნეს ამიერიდან.

ცალცალკე მუშაობა, როცა ეს მუშაობა ხასიათის დიდი სიმტკიცით, მიზანშეწონილობით, ცოდნით და სულის დამშვიდებით ხდება, რა თქმა უნდა, დიდი რამეა. მარა ამხანაგური მუშაობა, თანამშრომლობა რაიმე საქმის გაკეთებაში, ისეთი ღვთაებრივი, უზენაესი თვისებისაა, რო ჩვენ კარგათ ვერც წარმოვიდგენთ ამას ჯერჯერობით, სანამ ცხოვრებაში საკუთარი ცდითა და დაკვირვებით არა ვნახავთ მას. შრომა ადამიანის ვალდებულობას წარმოადგენს. და ასეთი ხასიათი უნდა ექნეს მას ყოველთვის, რა პირობებშიაც უნდა იქნეს იგი ჩაყენებული.

მარა, როგორც პროფესორი შარლ ჟიდიც სწერს; შრომა ყოველთვის გამოიწვევს ძალთა დახარჯვას, თავის ფიზიკურს და ინტელექტუალურ ძალდატანებას და უნდა გამოიგონონ, არაოდეს არ იქნება კაცისთვის საამო და სასურველი შრომის ეს აუცილებელი თანამგზავრები. ამიტომაც შრომა ადამიანს კიდეც შეეზარება და მას ყოველთვის ჭირდება თავის საკუთარ თავთან ბძოლა, რო შრომა შეიყვაროს, შრომას ხალისით ხელი მოკიდოს, წახალისება, წაქეზება ყოველთვის საჭირო იქნება მისთვის.

და, პროფესორის თქმისა არ იყვეს, მოუქანცველი შრომა ყოველთვის მოკლებულია სახელსა და პატივს და თან უნაყოფოც არის!

აღთქმულ ქვეყნისკენ მიმავალი გზები არ არის თაიგულებით მოფენილიო!...

თავის საზოგადოების ემბლემათ თქვენ დაისახეთ ფუტკარი და არა პეპელა, როგორც ფარიე მიელოდებოდა. და ეს იმიტომ, რო კარგათ იცით, ალბათ, რო თაფლს აკეთებს არა ის ფარვანა—მწერი, რომელიც ყველაფერს გარს ევლება, არამედ ფუტკარი, რომელიც ტროფობა ლხენაში კი არ ატარებს დროს, არამედ მუშაობაში.

**ხომლელი**

# შარადა

არც მგელი არის, არც მელა,
თუმცა ამათი ჯიშია,
მის დანახვაზე ქათამ-ცხვრებს
აქვთ ცახცახი და შიშია.
ამის სახელი შუაზე
გასჭერით თანაბარადა,
თავი თქვენ, ბოლო მე მქონდეს,
რო მით დავიწყო შარადა.

შავი ზღვის პირად მდებარებს
ქალაქი კეკლუცთაგანი,
ბაღჩა-ბაღებით შემკულა
იმისი სიგძე და განი;
სახელს აქვს ექვსი ანბანი
და არის სამ-მარცვლოვანი,
მის ბოლო მარცვლით შეითხზვის
შარადა სახელოვანი.

მინდა სახელი ფრინველის,
საამოდ მგალობელისა,
კაკაბთან შებანებითა
გულის ჯავრთ გადამყრელისა;
მისსა სახელსა წინიდან
ასო მოსწყვიტეთ ორია,—
ეს არ მჭირდება, განაგდეთ
ვითარც გულიდან ჭორია
და რაც დარჩება ანბანი,
რიცხვით მარტოკა სამია,
შარადას გამოადგება,
როგორც ნასიცხარს ნამია.

ნოხისა შემდეგ, ზევითა,
პირველი ქვეშ საგებია,
სულ მთელად ამის სახელი
შარადის მისარგებია.
და გამოგვივა ისეთი
საისტორიო გვარები,
რომ იტყვით: ამათ გაგვიღეს
ახალ ცხოვრების კარები!

**ვარდენ ყიფიანი**



ნ. გ. ალექსანდროვი—ისპრავნიკის როლში—„ძმანი კარაგოზოვები".

ნახატი ელი ახვლედიანისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა





ნ. ფავლენიშვილი



კომპ. მ. ბალანჩივაძე
(მოკლე ხანში მისი ოპერის
დადგმაა განზრახული)



დ. აკოფაშვილი

(მათი კონცერტების გამო)



ხაშურის სახ. გვარდიის მუსიკა

1, გვარდიის თავმჯდომარე ნიკო სიხარულიძე, 2, მუსიკის ხელ მძღვანელი ნიკოლოზ ბოგოსლავეცი და 3, თადეოზ სიხილაძე — მისი თანაშემწე. (დაწვრილებით შემდეგ)

„თეატრი და ცხოვრება“-ს
ათი წლის შესრულების გამო



ილია ფერაძე



დ. ჭანჭათელი



იპ. ვართაგავა

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ფერილი სოფელში

ძმაო შაქარო!

ძლვნად პოეტ პ. იაშვილს

სავსეა თბილისი: ჯადო და თილისმით.
დაშხამეს ფილტვები შეშლილმა ქუჩებმა.
აქ ლამის გავგიჟდე ამდენი ღვინისმით.
კოცნა შემაჯავრეს ლოთების ტუჩებმა.
დამგეშეს, ვით ძაღლი, თვით დაგეშილებმა.
სონათა სიმრავლემ მიმგვარა ბნედასა.
მამებიც დაირყვნენ, რაღა ვქნათ შვილებმა!
ქალისგან ვერ ვარჩევ კოპწია დედასა.
თბილისში დავკარგე ის პირის გემოცა.
სამი დღის ხორცსა ვჭამ, არ ვიცი რისასა.
თხის ქონი ბევრია—ეს არის ერბოცა.
წყალსა ვსვამ დოსავით ნაგვიან მტკვრისასა.
შაქარო! აქ თავი მთლად გამოვიტვინე.
იცინის სიკვდილი და მეფისტოფელი...
აქ ტირის შემცდარი, საწყალი ქრისტინე.
ოხ, როგორ მომწყურდა ეგ წმინდა სოფელი...
მომწყურდა: ვენახი მამა-პაპეული,
კოშკები ლამაზად გვერდ-ჩამოქცეული,
ჩემი კარ-მიდამო ღობე მორღვეული,
ქსანში ხელაობა, მურწა გაქცეული,—
ქლიავი, ატმები და ბუდეშურები,
წყალზე მიმავალი ჭრელ-კაბა გომბიო,
ახლად ამოყრილი თონიდან პურები,
ქაშანურ ჯამებით ზღვის პირის ლობიო.
მინდა, მოვისმინო საყდარში ოცნებით,
ჩვენი მათე მღვდელი ცალ-გულით მწირველი.
ოხ, რომ დავითვრები იმისი ლოცვებით
და უკანასკნელი გავხდები პირველი. .
ნაცნობ-მეგობრების, ბებიის საფლავზე,
კელაპტრებს დავანთებ თეთრ პარაკლისებით,
ხალხს მივიპატიჟებ ზედ ნაკურთხ ტაბლებზე,
შენდობას იტყვიან გულ-დანაკლისებით...
მაგრამ, ეს ნატვრაა... და გული მიკვდება.
მანდ რატომ არა ვარ, უსმენდე სისოსა.
ჩემ ტკივილს და მოთქმას ნეტა ვინ მიხვდება?..
მოკითხვა ბლუ მიხოს, თედოს და ღვთისოსა...

კ. რატიშვილი

P. S. ზაფხულიც რომ დავყო ტვინახდილ ქალაქში,
აქ მინაცვალებენ ასფალტი, ფარჩები...
ფიცს გაძლევთ, ქალმებით ვიარო ტალახში,
რომ ცრუ ნოქარივით არ მოვიპრანჭები...
ფარაჯას ჩავიცვამ, მამყოფეთ ბალახში...
წამიყვათ ქსოვრისში!.. აქ ველარ დავრჩები...

კ. რ.




ვ. მ. ორლოვისა—ვერხოვცევის როლში.

ნახატი ელი ახვლედიანისა.

# ,,მე თუ არა, შენც არა!..''

ვოდ. 1 მოქ.

მ ო მ ქ მ ე დ ნ ი:

**მარო** — გასათხოვარი.
**დედა მისი,** — 50 წლისა
**ალიოშა უტვინოშვილი,** — 30 წლისა
**გოგია,** — მოსამსახურე
**მამა**
**სონა,** — მაროს მეგობარი

**მარო** ვისგან არის, ნეტა, ეს წერილი? (კითხულობს) „მის მაღალ კეთილშობილებას''. აბა, გავხსნა. ხსნის, აკვირდება) ბიჭოს! (ფიქრობს) ნეტა ვინ უნდა იყოს ეს ალიოშა, ამისთანა ნაცნობი მე არავინა მყავს. (აბა, აბა, წავიკითხო. (კითხულობს) ,,ჩემო ძვირფასო, სიცოცხლის სარკევ, ჩემო ღვთაებავ, ჩემო ანგელოზო, ჩემო ვარდო, ჩემო იადონო, ვიწვი როგორც თივა და ვიტანჯები როგორც იუდა! ისე მიყვარხარ, ისე მიყვარხარ ისე, ისე, რომ ენას ვერ უთქვამს და გულს ვერ გამოურკვევია. დამერწმუნეთ თქვენმა სიყვარულმა გამომატვინა როგორც ბატი. კი, მართალია, ტვინის ანთება არ გამიჩნედდება აწი, იმიტომ რომ თავში ტვინი არ ჩამრჩა, მაგრამ ყველა ეს მომდის თქვენი სიყვარულით. თქვენ მე არ მიცნობთ, მაგრამ იმედია, გამიცნობთ''. . მერმეთ ბევრი წერტილები აქვს. ეს რას ნიშნავს? ალბად კიდევ სდომებია რიღაცის თქმა, მაგრამ ვერ მოუხერხებია. (იცინის) ძაან არ მოსდებია ამ საცოდავს. გასჩენია, ბატონო ,,პაჟარი'' და ეს არის. (შემდეგ კითხულობს) ,,თუ თქვენ შეხვალთ ჩემს მდგომარეობაში და ისურვებთ ჩემს გაცნობას, მაშინ მომწერეთ წერილი, დამინიშნეთ ადგილი და მე იქ გავჩნდები. აბა, ეხლა მშვიდობით. ჯერ უცნობი თქვენი ალიოშა. წერილი მომწე-

ეროვნული ბიბლიოთეკა



რეთ ამ ადრესით: ქალაქი ჩხოუშიას პირი ,, დო ვოსტრებოვანია‘‘ ალიოშა უტვინოშვილი.“ ალიოშა. საინტერესოა მე და ჩემმა ღმერთმა. სწორეთ საჭიროა მაგის გაცნობა, მაგრამ როგორ გავიცნო. (ფიქრობს) ჰო, მართლა დავუძახებ სონას, იმასც წერილს გაუგზავნი და დავიბარებ. აქ მოვა, შევხედავ, თუ კარგია და ლამაზი, ლაპარაკს დაუწყებ, თუ არა და გარეთ გავაგდებ. (ხტის) მშვენიერი აზრია, მშვენიერი!.. ხა, ხა, ხა.

**დედა** (შემოვა. შეაჩერდება) რა გაცინებს, გოგო, ხომ არ გადაირიე! (პირჯვარს იწერს) დიდება შენდა ღმერთო!

**მარო** (განზე) ვაიმე, რა უთხრა. (იმას) დედა, დედა, ერთი სასიამოვნო, სასიამოვნო... (იცინის) სასიამოვნო! (იცინის) სა...სი...ა..მო...

**დედა** (გააწყვეტინებს) რა სასიამოვნო, რა იყო გოგო, ჭკუაზე ხომ არ შეიშალე?

**მარო** (განზედ) გამოუტყდე. არა ხელს შემიშლის. (იმას) დედა, არაფერი, ისე რაღაცა გამახსენდა და იმიტომ ვიცინოდი.

**დედა** მადლობა ღმერთს. მე კი ჭკუაზე კინაღამ შევიშალე.

**მარო** დედა, მე ამ წუთს მოვალ, ცოტა საქმე მაქვს. (ხალხისკენ) წავიდე ერთი საქმე მოვაწყო. (გადის)

**დედა** არა, ბატონებო, ეს ქალი თუ არ გავათხოვე სირცხვილს მაჭმევს. ასე ბატონებო, ქალს რო თავის დრო მოუწევს უსათუოდ უნდა გაათხოვოთ. როგორ, არ გამომიცდია თუ! მახსოვს ქალიშვილი რომ ვიყავი, ათასი ფიქრი მიფრიალებდა თავში. ჭკუა თვალებში მქონდა. ერთხელ ქორწილში ვიყავი, კინაღამ დამევსო თვალი. ცოტაზე გადამარჩინა ღმერთმა.

**გოგია** (შემოდის) ქალბატონო, ვიღაცა კაცია და თქვენა გკითხულობთ.

**დედა** ვინ არი, ბიჭო, თუ იცი.

**გოგია** რა ვიცი, ბატონო, ვინ არის.

**დედა** ბიჭო, როგორ არ იცი, თუ ვინ არის.

**გოგია** იმე, ბატონო, ამისთანა მინახავს! რა ვიცი, ბატონო, ვინ არის? ვიღაცა რუსულად გამოწყობილი კაცია. ჩემთან მუსაიფი კი არ დაუწყია და, მიძახა და დამირუსულა: იდი, მარო მათ პაზავი, პოჟალუსტაო. ხოროშო მეთქი, უთხარი და წამოვედი. ჰო და მაროს ,,მათ‘‘ თქვენ ბრძანდებით და თქვენ მოგახსენეთ.

**დედა** შეგირცხვა ცხვირი შენ, თუ კაცივით რამე გააკეთო.

**გოგია** (ხალხისაკენ) ცხვირიც შეგირცხვა და პირიც! (იმას) ქალბატონო რაზე მირცხვენთ ცხვირს! (იკიდებს ცხვირზე ხელს). ეს დასაკუპრავი ცხვირი რას გიშავებს? თუ არ გნებავს—ნუ წაბრძანდები; წავალ და მოვახსენებ იმ ბატონს: მარო ,,მათ‘‘ ნე პრიდიოთ მეთქი. (წასვლას აპირობს)

**დედა** მეიცა, ბიჭო, შე შეჩვენებულო, მივდივარ. (მიდის)

**გოგია** იმე, ბოშო, რაა ჩემი სიცოცხლე, რაზე გამაჩინა ღმერთმა, რომ არ ვიცი. ცხვირს მე მირცხვენენ და თავს. ღმერთმა დასწყევლოს ჩემი მომნათვლელი მღვდელი (ჩაფიქრდება) ბიჭო, მართლა რა უჭირდა იმ დალოცვილ ღმერთს მე ცოტა ლამაზი გავეჩინე, მაშინ ხომ მეც გავპაჟალუსტდებდი ამ ჩვენს ბარიშნას, ქვეყნის ბიჭები რომ ესევიან, მარა შევარცხვინე, მართლა, ჩემი ცხვირი! (იკიდებს ცხვირზე ხელს) რა გასაჩენი იყო ამისთანა ბუკივი ცხვირით, კაცმა რომ შემომხედოს ასე ეგონება: კვახი აქვს ზედ დაკიდებულიო. არა, უნდა დავანებო აქაურობას თავი.

**მარო** (შემოდის) ჰო, გოგია, შენ აქა ხარ, ძალიან კარგი.

**გოგია** (ხალხისკენ) რა კარტინაა ეს შეჩვენებული, მარა ჩემი ურგები მგელს შეუჭამია. (იმას) იმე, აქა ვარ, ბარიშნა, შენი ჭირი შემეყაროს, რას მიბრძანებთ?

**მარო** გოგია, იცი რაა.

**გოგია** არა, ბარიშნა, არაფერი ვიცი.

**მარო** აბა დამიგდე ყური.

**გოგია** ვისმენ ბარიშნა.

**მარო** ეს წერილი (აძლევს წერილს) წაიღე და ფოსტაში ჩააგდე, გესმის.

**გოგია** (გამოართმევს) მესმის, ბარიშნა.

**მარო** არა, მოიტა, არ შემეშალოს. (ართმევს და კითხულობს): ქალაქ ჩხოუშიას პირი ალიოშა უტვინოშვილს. და, და... (აძლევს).

**გოგია** მეტი არაფერი.

**მარო** მოიცა. (აძლევს მეორე წერილს) ეს წერილი მიუტანე სონა მისიშვილს და უთხარი რაც მაგაში წერია აასრულეთქო, გესმის.

**გოგია** მესმის, ბატონო. (განზედ) ერთ ხანს კიდო არ წავალ და დაუწყებ ჭუკჭუკს. (იმას) ბარიშნა, რა წერია მერე ამ წერილში?

**მარო** ეს რათ გინდა, რაც წერია, შენ მხოლოდ წაიღე და ის გაიგებს. აბა ჩქარა.

**გოგია** იმე, ბარიშნა, შენმა მტერმა გეიგო ამისთანა ამბავი: რო მკითხოს იმ ბარიშნამ უცფათ, რა გინდაო და მე ვერ უპასუხო, ხომ შევრცხვი კაკალი კაცი.

**მარო** რა წერია და ხვალ აქ მოვიდეს, გესმის.

**გოგია** იმე, მესმის, ბატონო, ეხლა. (დაიღრიჯება) ეს ბარიშნა ამდენ ხანსაც კი მესმოდა, მარა მე მინდოდა შენთან მეჭუკჭუკნა იიი. . ii.. ii. (იცინის).

**მარო** ეს რატომ, გოგია.

**გოგია** იმე, შენი ჭირი შემეყაროს, რატომ რაა: მე კაცი არ გგონივარ. შენ იმისთანა კარგი ხარ, რომ...

**მარო** მერე რაა?

**გოგია** მერე... მერე... მერე... ხი, ხი, ხი, ხი ..

**მარო** მერე რაა, არ იტყვი.

**გოგია** (განზედ ქე არ დემებნა ენა მე უბედურს (იმას) მერე .. მერე... მერე.., ის... ის... იის... ხი, ხი, ხი...

**მარო** რა ის, არ იტყვი. რა გაცინებს.

**გოგია** იმე, მოგიკვდა ჩემი თავი, ბარიშნა, რა ვიცი რა მაცინებს. (განზედ) არა, უნდა ვთქვა ყველაფერი. რა მაქვს დასამალი. თუ იქნა-იქნა, თუ არა და შტრაფს ვინ გადამახდევინებს. (იმას) ბარიშნა მე თქვენ...

**მარო** თქვი, კაცო, რა გინდა, თვარა რო მოხვალ, მერე მითხარი. (განზედ) თუ ამას სიყვარულის გამოცხადება არ უნდოდეს, მე არაფერი მცოდნია! (იმას) კაცო, არ გესმის: ან თქვი და ან წადი ჩქარა.

**გოგია** ვთქვაა... ხი, ხი, ხი...

**მარო** თქვი! ბიჭო, მალე, თვარა მე არ მცალია. (მოეფერება) გოგია, შენი ჭირიმე ეხლა წადი და რო მოხვალ მერე ვილაპარაკოთ, თუ გინდა მთელ ღამეს.

**გოგია** იმე, შენი ჭირი შემეყაროს, კარგი მარა არ მომატყუილო იცოდე (გადადგამს ფეხს) წავიდე. არა

ეროვნული ბიბლიოთეკა



სჯობია, ბარემ ეხლა გავათავო საქმე. (მოუბრუნდება) აბა, არ მომატყუილებ, ბოშო.

**მარო** არა, არა, ოღონდ შენ მალე წადი.

**გოგია** აბა, დამიფიცე.

**მარო** შენ ნუ მომიკვდები, ჩემო გოგია.

**გოგია** ეხლა კი მჯერა, შენი ჭირი შემეყაროს. (მიდის).

**მარო** მადლობა ღმერთს. ამასაც გადავრჩი. (ჩაფიქრდება) არა, როგორ მოგწონთ გოგიას სიყვარული. საწყალი გოგია. აბა, ვის სცალია შენი სიყვარულისათვის! (ჩაფიქრდება) მარა ცოდვა არის! რატომ უნდა გაუტეხო გული. მოდი მეც ვეტყვი: მიყვარხარ მეთქი. რა მენაღვლება, რას დავკარგავ, ამ კარგი სიტყვით გამოვიყენებ. მორჩა და გათავდა. და, და ხარაშო, პრიამო პრელესტ. ჰო, მართლა, ესეც ასე: ის წერილი მიუვა იმ ალიოშას, ის ხვალ აქ გაჩნდება. ვნახოთ როგორი ფასონისა არის. თუ ლამაზია ხომ კარგი, რა მენაღვლება, ვეარშიყები, თუ არა სულ სამასხროთ ავიგდებ. და, და ტაკ პოსტუპლიუ. (ჩაჯდება სავარძელში) გავიხედე შემოვიდა ეხლა ჩემ სახლში. არ ვიცნობ, არ მიცნობს, არა, მე არ ვიცნობ, თორემ ის კი მიცნობს, როგორც სჩანს. რას მეტყვის ნეტა ვიცოდე. დამიწყებს არშიყობას. დედა, დედა რა კარგი იქნება. მით უმეტეს ის აქეთ მეხვეწება (წამოდგება) იცით. ქალიშვილი არასოდეს არ განიცდის ისეთ ბედნიერებას, როგორც მაშინ როცა ეარშიყებიან: მაშინ არის ის ამ ქვეყანაზე ყველაფერი! (იხედება სარკეში) არა, ვის არ მოვეწონები. (ხალხისკენ) თუ ღმერთი გწამთ მითხარით: არ მოგწონვართ? არ მოგწონვართ?! (ისმის ზარის ხმა) დიაღ, ის უნდა იყოს! (მიდის).

**გოგია** (შემოდის) იმე, ესეც ასე. ყოლისფერი მევისტურე, ბატონო, და მეც აგერ გეახელი.

**მარო** ბიჭო, ასე ადრე რამ მოგიყვანა. მგონია შენ არსად ყოფილხარ, ისე გაგწყრომია ღმერთი.

**გოგია** იმე, მოგიკვდა, ბარიშნა, ჩემი თავი! არ ვყოფილვარ კიარა იქიდან მოვრბივარ ენა წამოვარდნილი.

**მარო** რა მოვარბენინებდა, ნელა ვერ წამოდი.

**გოგია** იმე, ბარიშნა, ხი, ხი, ხი! (იცინის) ნელა კი არა ეხლა შენთან მოვრბოდი! ხი, ხი, ხი.

**მარო** ჩემთან რა საქმე გქონდა ბიჭო.

**გოგია** იმე ბარიშნა! შენმა მტერმა თქვა ამისთანა ამბავი. როგორ. მომატყუე თუ. წელან არ შემპირდი, რომ ეს წერილი წაუღე მერე მოდი და სულ ვილაპარაკოთო.

**მარო** ჰოო, ჩემო გოგია, მართლა სულ დამვიწყებია. აბა, დავჯდეთ და ვილაპარაკოთ. (ხალხისკენ) აბა, ბატონებო, სეირი თუ გინდა ეს არის.

**გოგია** (ხალხისაკენ) გამაგრდი უბედურო გულო.

**მარო** აბა, დაიწყე რა გსურს, ჩემო გოგია.

**გოგია** (ხალხისკენ) ვაი, ჩემ შავი დღეს როგორ გადამასხა სიმწარის ოფლმა. (იმას) თქვენი კარგად ყოფნა, ბარიშნა.

**მარო** მერე?

**გოგია** მერე კიდე თქვენი კარგათ ყოფნა, ბარიშნა! ხი, ხი, ხი.

**მარო** გმადლობთ.

**გოგია** არაფერს, ბარიშნა.

**მარო** მეტი არაფერი?

**გოგია** იმე, როგორ არაფერი. არაფერი კი არა ეხლა იწყება ჩემი შავი დღე.

**მარო** რა შავი დღე, ბიჭო.

**გოგია** (ხალხისკენ) იმე, როგორ მიფანცქალობს გული, სულ ბრავა-ბრუგი გააქვს ამ შეჩვენებულს. (პირჯვარს იწერს) ღმერთო შენ შემეწიე! (იმას) ბარიშნა... შენი... ხი, ხი, ხი... ჭირი შემეყაროს. ერთი შენს კისერზე ხელი მომაკიდებიე და მერე... და შუბლზე მაკოცნიე.

**მარო** გოგია, ბოშო, ხომ არ გადაირიე, რას ამბობ.

**გოგია** იმე, ბოშო, რაღა მე გადავიოიე, სხვები შუბლზე კი არა ტუჩებზე გეპოწიალებიან, ისენი არ არიან გადარეულნი და რაღა მე შევიქენი გადარეული.

**დედა** (შემოდის) ბიჭო შე შეჩვენებულო აქ რას აკეთებ, რომ ვირივით გაჩერებულხარ!-. (მაროს. ან შენ, ქალბატონო, რა გაგიჩერებია ეს ლენჩი. მამა შენმა რომ დაგინახოს ხომ მოგკლავს.

**გოგია** შენ მოგეკიდა ცეცხლი და თავარა, შე ტუტუ-რა, შენა! (ხალხისკენ) რამ შემოიყვანა ეხლა ეს შეჩვენებული, აი კისერ მოსატეხი. ქე არ გამიშრო ნერწყვი ამ დასაკუპრავმა. ეს ჩემი გამოჩისთული საქმე ქე დამიღუპა.

**მარო** ეხლა შემოვედი დედა და ეს იყო წასვლას ვაპირობდი. (გადიან)

**გოგია** (ხალხისკენ) ისე აშენდა შენი ოჯახი. . (ნაღვლიანად წაიღიღინებს. მოწყენილია) ვაი, ჩემი გაჩენის დღეს, რავა ყველა მე მლანძღავს. არა რად ღირს ჩემი კაცობა. არა, როგორ გამიბედა ვირის დაძახება. მერმედ ლენჩი ხარო. არა, გოგია არ ვიქნები თუ ეგენი არ გამოვასუქისინე მთელ ქვეყანაში. მერე კიდევ: ბარიშნა ამ ლანძღვას უყურებდა და არაფერი უთხრა იმ ტურაქალა დედას. ბარიშნას კიდევ ვატყობ, მატყუილებს, ერთი რაღაცა პუსტიაკი საქმე ვთხოვე და უარი მითხრა, ეხლა კოცნა არ შეიძლებაო! (ჩაფიქრდება) არა, უნდა დავანებო თავი აქაურობას, მარა სანამდი თავს დავანებებდე, ერთს ისე მივბრიგავ ვინცხას, რომ ფაფის ჭამა ვერ შესძლოს. ხაზეინი და ხაზეიკა საცხა წავიდნენ და სალამომდის არ მოვალთო თქვეს, აქაურობას თვალ-ყური ადევნეო. ჩვენმა ბარიშნამ, ისინი რომ წავიდნენ, თავი აიშვა და რაღაცა აცუნდრუკდა, კიდევ ვიღაცა ბარიშნა მოვიდა და აიღეს აქაურობა, რაღაცას ფუჩუნობენ, ალბათ პოემანი აქვთ ვიცხასთან დანიშნული, მარა ვაი მის დღეს იმ უბედურს.

**ალიოშა** (კარებს უკაკუნებს) მოჟნო?

**გოგია** (ხალხისკენ) ეს რა თქვა ამ ოჯახ დაქცეულმა! (იმას) მაქ არა და იქით თუ გაიწევ ცოტა, მაშინ შეიძლება.

**ალიოშა** (კიდევ აკაკუნებს) მოჟნო?

**გოგია** (ხალხისკენ) ძაან არ გაჭირებია ამ უბედურს ვინაა ეს ოჯახ დასაქცევი! (აღებს კარს ალიოშა გამოჩნდება ბუკეტით)

**ალიოშა** მოჟნო?

**გოგია** (ხალხისკენ) ქე არ უთხარი ამ ოჯახ დასაქცევს. (იმას) აქ არა, ბატონო...

**ალიოშა** (შემოდის) ვინავატ. პაზვოლტე სპრასიტ გდე ბარიშნა!

**გოგია** უკაცრავად, ბატონო, მაგის არაფერი გამეგება.

**ალიოშა** (ხალხისკენ) ნავერნო დურაკ (გაივლის სცენაზე).

**გოგია** (ხალხისკენ) რაო. ნავირევი დურაქიო?! (იმას გულმოსული) დურაქიც ხარ და საბაქიც! რას ქვია ნავი-

რევი დურაქიო, დურაქი თუ არ იყო, ამხელა კაძახს ბალანასავით ვარდები რომ დაგიკავებია და დაეთრევი ამ ცინცხალია ორშაფათს, ციბაძის მოზვერივით, ამას იზამდი!

**ალიოშა** (დადის სცენაზე) სტოიტ-ლი სტაბოი რაზგავაოივაᲗ.

**გოგია** სტოლზე დაგდობო დი როზგს დაგარტყამო! (იმას გულმოსული) ვინა ხარ ძმაო შენ, რომ გაროზგვას მიპირობ, ან რაზედ მოსულხარ. ჭკუით იყავი თუ არა ბუკივით გაგიხდი ცხვირს, ვაი არა აქ მეტად გოგიას.

**მარო** (შემოდის) რა ამბავია გოგია, რა გაყვირებს.

**გოგია** რა მაყვირებს, რომელია! ვინცხა ეს ოჯახდასაქცევი ჯერ მოადგა კარებს და იმისთანა დამიძახა იქიდან, ღმერთმა ჩემს მტერს ნუ გააგონოს, მერე დაადვა თავი და შამევიდა მაჭავარიანის ლორივით თავისი ერთი ურემი ვარდებით, მერე, ბარიშნა, დამიწყო ლანძღვა. დეიწყო, ბატონო რაცხა პრაშთა-პრუშთის ლაპარაკი, დურაქი ბევრი მიძახა და მერმეთ გაროზგვა დამემუქრა. გაროზგვაზე ნუ იქნება საქმე თვრა, მამა ჩემს აქვს ცხონება, მე ეს გავაპალაჩო: სულ ნალველს ჩავაქცევ მუცელში ამ შეჩვენებულს...

**მარო** კარგი, გოგია, ეხლა წადი და იქაურობას მიხედე თუ ღმერთი გწამს.

**გოგია** (გულმოსული) მე მაგის ასაგდები არა ვარ, ჭკუით იყოს, ვინცხაა, თორემ სულ დავანაღვლებ. (გადის)

**ალიოშა** (ხალხისკენ) ოსკანდალილსია (იბერება).

**მარო** (ხალხისკენ) ცოტა სულელსა გავს! (იმას) რა გნებავთ, ბატონო, ან ვინა ბრძანდებით?

**ალიოშა** (ხალხისკენ) ვაი ჩემი შავი დღის მოსწრებას, ქე არ დევიბენი თლათ! (პირჯვარს იწერს) ღმერთო შენ შემეწიე! (იმას) მე... მე... მე, ბატონო, ალიოშა უტვინოშვილი გახლავარ... მე... მე... მე, ბატონო, მიირთვით ეს ბუკეტი! (აწვდის ბუკეტს).

**მარო** ხა, ხა, ხა! ეს თქვენ ბრძანდებით ალიოშა უტვინოშვილი! ხა, ხა, ხა! ძალიან სასიამოვნოა! (ჩამოართმევს ბუკეტს).

**ალიოშა** (ხალხისკენ) რა აცინებს ამ ოჯახდასაქცევს! (იხედება განზე) ხომ არაფერი მიჩანს. ნეტ, ვსიო ვ პორიადკე. (იმას) დიახ, მე ალიოშა უტვინოშვილი გახლავართ.

**მარო** დიდათ სასიამოვნოა! მერე რა გნებავთ, ბატონო ალიოშა.

**ალიოშა** (ხალხისკენ) ღმერთო მომკალი ეხლა, რას მეკითხება ამას? (იმას) თქვენ, ბატონო, თუ ჩემი წერილი მიიღეთ, იქ ეწერა ყოვლისფერი.

**მარო** მერმეთ.

**ალიოშა** მერმეთ თქვენი მშვიდობა, ბატონო.

**მარო** მეტი არაფერი (ხალხისკენ) სწორედ სულელია.

**ალიოშა** (ხალხისკენ) გამაგრდი შე ოხერო გულო, ეხლა გინდა ვაჟკაცობა, შე მიწის დასაყარო, შენა! (იმას) მეტი არაფერი კი არა თქვენ გებარებათ, ბატონო მარო, ჩემი სიცოცხლე! (ხალხისკენ) ეს ძაან ვსთქვი, ვენაცვალე ჩემი ენის კლიტეს.

**მარო** მე რათ უნდა მებარებოდეს, მე აქ რა შუაში ვარ.

**ალიოშა** (ხალხისკენ) ეს რა ლათაიებს მელაპარაკება (იმას) შუაშიც თქვენა ხართ, ქალბატონო, და ბოლოშიც.

**სონა** (შემოდის) არ მოვიდა, მარო, ის ვიღაცა.

**მარო** სუ, სუ.

**სონა** დედა და მამა არ მოსულა.

**მარო** არა მოვიდა, მარა... გაიცანი ალიოშა უტვინოშვილი. სონა მისიშვილის ასული.

**ალიოშა** (იბერება) დიდათ სასიამოვნოა! (ხელს ართმევს და მერე ხალხისკენ) რა ეშმაკმა მოიყვანა ეს ფეხებ დასამტვრევი ეხლა.

**მარო** მე ალიოშამ ბუკეტი მომიტანა.

**ალიოშა** (ხალხისკენ) ალიოშაო. კარგათ არის საქმე, მოვესწარი მგონია.

**სონა** ალიოშამ მოგიტანა. აბა მაჩვენე, (ართმევს ბუკეტს).

**ალიოშა** (ხალხისკენ) კი, კი, ბატონო, ამანაც ალიოშაო. ნამდვილათ დაიწვენ ორნივე, ნამდვილათ.

**სონა** ნავერნო ბუკეტ სო ზნაჩენიემ.

**ალიოშა** კანეჩნო! (ხალხისკენ) არა კარგათ არის საქმე. დაწყებული კარგათაა, აწი თუ არ გავფუჭდი.

**სონა** ჩტო ეტი კრასნიე როზი ოზნაჩაიუტ?

**ალიოშა** ეტო, ეტო გორიაჩუიუ ლიუბოვ! (ხალხისკენ) არა, ძაან უდარზედ ვარ, ნამდვილათ კარგათ წავა საქმე.

**მარო** საინტერესოა ვიცოდეთ ვინ გიყვართ ასე გორიაჩად!

**სონა** ხა ხა ხა! დიახ ასე გორიაჩათ!

**ალიოშა** (ხალხისკენ) როგორ იცინიან. ავენი აპრაგათ ხომ არ არიან ჭკუაზე. (იმათ) ნუ თუ, ბატონო მარო, თქვენ ვერ გაიგეთ მე ვინ მიყვარს. იქ მთელი ჩემი გული და სული იყო ჩაქსოვილი.

**მარო** მე ვერაფერი გავიგე.

**სონა** რა უნდა გაეგო. გითხრა რამე თუ?

**მარო** არასფელი არ უთქვამს.

**ალიოშა** (ხალხისკენ) არაფელი კი არა იმ წერილს სამი დღე და ღამე ვწერდი და რამდენი სიმწრის ოფლი გადამწყდა იმის წერაში. (იმათ) ნუ თუ, ბატონო მარო, თქვენ ვერ გაიგეთ მე ვინ მიყვარს? იქ ყველასფერი წერია.

**მარო** იქ ვერასფელი გავიგე.

**სონა** თქვენ, როგორც სჩანს, დიდი შეყვარებული ყოფილხართ.

**ალიოშა** შეყვარებული და ეგრე! მთელი ღამე არ მძინავს, ბატონო სონა, სულ მაგაზედ ვფიქრობ, თვალწინ ყოველთვის ეგ მიდგას, მუდამ ეგ მელანდება! (ტირის).

**სონა** (ხალხისკენ) ძაან არ მოსდებია ამ საცოდავს. (იმას) მაინც ვინ გიყვარს, ბატონო, ალიოშა.

**ალიოშა** ვინ მიყვარს და... (გადახედავს მაროს) მარო მიყვარს, მარო და... ხა, ხა, ხა.

**სონა** მომილოცავს მარო, მომილოცავს. ღმერთმა შეგაბეროთ... ხა, ხა, ხა.

**ალიოშა** (ხალხისკენ) ეს რა უბედურ მდგომარეობაში ჩავვარდი. როგორ მოვისპე. ვაი ჩემს დღეს უბედურს! (მაროს) მარო (დაიჩოქებს) შემიბრალე. უშენოთ ჩემი სიცოცხლე არ შეიძლება.

**სონა** მარო, შეიბრალე. (ჩუმათ იცინის).

**ალიოშა** შენ უნდა დამიხსნა სიკვდილისაგან, ჩემო ძვირფასო მარო, ჩემო სიცოცხლევ.

**გოგია** (შემოდის) ეს რავა ორჩან კამეჩივით წამოჩოქებულა ეს ოჯახ-დასაქცევი!

**ალიოშა** (გოგიას ვერ ამჩნევს) მარო, ჩემო სიყვარულო, აბა შემომხედე რასა ვგევარ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



**გოგია** რასა გევხარ და მაიმუნს, შე მუტრუკო შენა! (მივა და უნდა გაარტყას).

**მარო** გოგია შენი ჭირიმე არ შემოკრა. (გადუდგება შუაზე).

**სონა** (იცინის ჩუმათ).

**გოგია** არ შემოვკრა კი არა, ტყლიპზე გავხეთქავ ამ მაწანწალას. არც კი რცხვ ნია, როგორ გელათის მათხოვარავით ეხვეწება! შევარცხვინე შენი პოვედენია. გაეთრიე აქედან ეხლავე შე წუპაკო, შენა.

**ალიოშა** ბატონო მარო! მე ამან ორჯელ გამლანძღა და ეს მეტის მეტია. თუ კიდევ რაიმე გაიმეორა, ღმერთმანი, ამას ვერ მოვითმენ და ყურის ძირს ამოვულესავ ამ ტუტუცს, ამ სა!

**გოგია** (გულმოსული) ვის ამოულესავ შენ ყურის ძირს, (წაავლებს ხელს) შე ხვადაგო კაძახო შენა! (შეიქნება ტყლაშა-ტყლუში. მარო და სონა კივილს მორთავენ, გოგია ალიოშას ურტყამს) შე ცინგლიანო შენა. გიშველოს ეხლა შენმა ვარდებმა!

(მამა და დედა შემოდიან)

**დედა** ეს რა ამბავია. ბიჭო შე ლენჩო, შენა... გოუშვი ხელი ეხლავე. (გოგია მოეცლება და გაჩერდება კუთხეში)

**გოგია** აჰა, ჩავიქციე თუ არა ტყლიპი მუცელში. მასე გინდა შე...

**ალიოშა** (ტანისამოსს იწმენდს და მერე ხალხისკენ) ძაან დროებას არ ვატარებ, აი შენი სიყვარულიც.

**მამა** (მაროს) რა მოხდა, გოგო, აღარ იტყვი.

**მარო** მე... მე... მე არ ვიცი.

**სონა** ეს სულ გოგიას ბრალია.

**მამა** რა იყო, ბიჭო, რა მოხდა. შე ლენჩო რა გაჩხუპებს.

**გოგია** ლენჩიც თქვენა ხართ და სულელიც. თქვენ იქით-აქეთ დაბრძანდებით და ის კი არ იცით თქვენს სახლში რა ხდება. გამომიყვანეს მოთმანებიდან, დღე ერთია და ამისთანა ხლუსტი ოცდა ათი შემოვა აქ, ზოგი კოცნის ამ თქვენს ბარიშნას, ზოგი ხელს უსობს, ზოგი ჭკბენს, ზოგი ჩხვლეტს და არიან ერთ ამბავში. აგი არ მინახავს ჯერ და ამასაც მოვესწარ. ამხელა კაძახი დაჩოქებია ამ ჩვენს ბარიშნას და რაღაცას თხოვს გელათის მათხოვარივით. კიდევ კარგი მოვედი, ოვარა ქე გაგიპაქალუსტებდა მაგი შენს ბარიშნას და მერე გეყარა კაკალი.

**მამა** ვინ, ბიჭო, ვინ?

**გოგია** ვინ და აი ეს (აჩვენებს ალიოშას) გამოტვინებული.

**მამა** (მაროს) გოგო, ეს რა ღვთის რისხვაა შენს თავზე?

**დედა** დედა, დედა, რა მჭირს, რა. როგორ შემარცხვინა ოჯახი, ვაი, ვაი, ვაი.

**მამა** ვაი შენ და შავი ქვა. გაჩუმდი, სულ შენი ბრალია.

**ალიოშა** (ხალხისკენ) როგორ მოგწონთ, ბატონებო ჩემი ამბავი. ძაან პოლოჟენიეში არა ვარ. სიყვარული კი არა, მიწა მეჭამა ის არ მერჩია. გვერდები მაინც მთელი შემრჩებოდა! (იხედება პიჯაკზე) ბიჭო, ეს რა უქნია, აკი არ გაუხევია ამ ღვთისაგან შეჩვენებულს.

**მამა** (ხალხისკენ) ასე, ბატონებო. ბრიყვი მიუშვი ნებასა—თვით შეეყრება სნებასაო. ასეა, ბატონებო, ეხლანდელი ყმაწვილები, სადაა, სირცხვილი, სადაა ნამუსი, სადაა ზრდილობა. (ალიოშას) მიბრძანდით აქედან თქვენი ბუკეტით! (აძლევს ბუკეტს)

**ალიოშა** (ბუკეტს ხელში დაიკავებს)

**გოგია** (ხალხისკენ) ხო, ხო, ხო! გეტირა დედა.

**მამა** ნუ, შავომ მარშ!

**ალიოშა** (სალდათური ნაბიჯით მიდის)

**მარო და სონ** (კუთხეში სხედან თავჩაღუნულნი)

**დედა** (მაგიდასთან ზის) როგორ შემირცხვინა ოჯახი, როგორ!

**მამა** ესეც შენი განათლება.

**გოგია** მე თუ არა, შენც არა! ანასუნ და აბრადინ შენ საქმეს. (მიუბრუნდება მაროს) დაჯექ ეხლა და ყვლიპე თვალები!

**ფარდა** **ირ. ბოხუა**

მაისი, 1920 ზუგდიდი.

# აშმორებულ ჭაობში

არ გათეთრდება ყორანი რაც გინდა ხეხო ქვიშით. ეს ითქმის ჩვენს მსახიობებზე.

იმ მსახიობებზე კი არა, რომელთ ღვთივ აღგზნებულმა გულმა და სულმან მშობლიური სცენის გატაცებულ **სამსახურით** 80-90-იან და 900 იან წლეებში მზიურ შარვანდედით შეიმკო სახელი; მშობელი ერის გათვითცნობიერების კანდელი მუდამ მაღლა ეჭირა და მხოლოდ მელპომენას ლოცულობდა, არამედ იმ „მსახიობებზე", რომელთა სასცენო ნიჭის ნატამალიც არა აქვთ, სახელოვან წინაპართა უჭკნობ სამემკვიდროს ინტრიგანობით ეპოტინებიან და თვის ღმერთად და ხატად ბახუსი უწამებიათ...

და იქ, სადაც ვასო აბაშიძის, მ. ს.-აბაშიძის, კ. ყიფიანის, ვლ. ალ.-მესხიშვილის, ეფ. მესხის, ნუცა ჩხეიძის, განსვენებულ ნ. გაბუნიას, კ. მესხის და სხ. ღვთის მსახურება იდგა, მადლმოსილი ლაღადისი, დღეს აშმორებული ღვინის ჭაობია, რომელშიც თანამედროვე ქართველი მსახიობი ჭყუპალაობს!..

და ამ აშმორებულ ჭაობში საჭყუპალაოდ იგინი მთელი ქვეყნის ლოთებსაც მოუწოდებენ..

აფიშებით და გაზეთებით!

და ეს იმ დროს, როდესაც ჩვენს ქვეყანას დღეს რამდენიმე ფრონტი აქვს, მამულის ერთგული შვილნი მრავალ-მომხდარ მტრის წინაამდეგ ბრძოლაში სიცოცხლეს სწირვენ, წვიმა-ტლაპოში წელამდის ჩაფლულნი და მზის გულზე დახრაკულნი...

დიაღ, ქართველი სცენის „ქურუმნი" სწორედ ამ დროს ზეიმობენ: ლოთებო მთელის ქვეყნისა შეერთდითო და მთელ ღამეს ღვინოში ირჩობიან!..

ჩვენს მსახიობთ და საერთოდ ქართველ ხელოვანთ განა არ შეეძლოთ ფრონტებზე გამგზავრებულიყვნენ და მოეწყოთ წარმოდგენა კონცერტები დივერტისმენტით! ამითი ხომ ფრონტზე მთელი თვეობით გაჩერებული ქართველი მხედრობა სულიერ საზრდოს მიიღებდა!!

მაგრამ მაშინ ბახუსს ხომ ფეხთქვეშ ველარ გაეშლებოდენ!..

ყველაფერს საზღვარი აქვს და საზღვარი უნდა დაედოს იმ ვითომდა ქართველ ქურუმთ მოღვაწეობას", რომელთა საქმიანობა გამოიხატება წარმოდგენების გამასხარავებაში, ხელოვნების დაცემაში და ლოთობაში.

დროა ქართულ მელპომენის ტაძარს ჭეშმარიტი მფარველი ქურუმი დაეპატრონოს!.. **ექიმი შტოკმანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა





**ქ. ოზურგეთს** მაისის 26 სადღესასწაულო ელფერი ედო. მიტინგს აუარებელი ხალხი დაესწრო. საუცხოვოდ მოკაზმული ტრიბუნა. მიტინგს ხსნის მომწყობი კომისის თავჯდომარე რ. ჩხაიძე. შინაარსიან სიტყვებს ამბობენ სამაზრო ერობის სახელით კ. ქავთარაძე, თვითმართველობას—ს. ცხომელიძე. ქალაქში დასრიალებენ ვარდ-ყვავილებით მორთული ავტომობილ-ეტლები. ავტომობილებიდან ბავშვების გუნდი ვარდ ყვავილებს ესროდენ ჯარისკაცთა და გვარდიელთა მწკრივებს. ბოლოს გაიმართა მხედრობის ალლუმი. ჯარის სადგომი ციხის სახურავიდან ხან გამოშვებით ტყვიის-მფრქვევს ისროდა საღამოს ჯ. კ-თა და გვარდიელთა თეატრში წარმოდგენილ იქმნა ვ. გუნიას 1 მოქ. ვოდ. „დედის ერთა“, რაც სცენის მოყვარეებმა კარგად შეასრულეს. შესრულებულ იქმნა აგრეთვე სიმვულიდის ლოტბარობით ეროვნული და უცხო სიმღერები. გურული იმღერები შეასრულეს ს. ჩხიკვიშილის ლოტბარობით. ბავშვების დივერტისმენტმა მშვენიერი ასიამოვნა. ხალხი კმაყოფილი დაიშალა.

**გიორგი ლ—ძე.**

---

**ველისციხეში** (კახეთი) არსებობს სცენისმოყვარეთა წრე, რომელსაც ჯერ-ჯერობით მუდმივი ბინა ზაფხულის სეზონისათვის სახალხო ბანკის ფართე ეზოს კუთხეში აქვს ხოლო ზამთრობით-კი ხან რომელსამე ყოფილ რესტორანში, ან სკოლის რომელსამე დიდ-ოთახში აღმოჩნდება ხოლმე, რასაც ჩვენებურად ვეძახით სათეატრო დარბაზს!!

ისეთი კულტურული ცენტრი კახეთში, როგორიც ველისციხეა, განა მოკლებულ უნდა იყოს ასეთ უარესად კულტურულ დაწესბულებას, ხელოვნების წმინდათა წმიდა ტაძარს, დემოსის ერთად-ერთ შუქმფენ სხივს, როგორც არის სახალხო სახლი?

იქნება იფიქროთ ველისციხის სცენის მოყვარეთა წრე და მისი გამგეობა არ იდგეს თვის სიმაღლეზე?

ან და მისი უმოქმედობა იყოს მიზეზი დღეს რომ სახალხო სახლი არა აქვს ველისციხეს? არა...

ის სცენა, ის წრე, რომლის ისტორია იწყება 1898 წ. და შეიძლება უფრო ძველად, და რომელიც რაც ხანი გადის უფრო იზრდება შეგნებულ ხელოვან მუშაკებით, დუმილით ვერ ჩაუვლიდა სცენისათვის ისეთ კარდინალურ საკითხს, როგორიც არის სახალხო სახლის აშენება, მისი უდავო საჭიროება, დიდი ხალხური სარგებლობა და მისი საგანმანათლებლო მიზანი.

1917 წ. სცენის მოყვარეთა წრის სათავეში მდგომმა გამგეობამ, რომელშიაც შედიოდნენ შ. არღუთინსკი, ა. ჩითაევი და ა. ქათამაძე, ამ მხრივ მათ თავიანთ დაუზოგველ შრომის და ნაყოფიერ ერთ-სულოვან მუშაობის მეოხებით ბევრი რამ გააკეთეს და უფრო ბევრსაც გააკეთებონენ, რომ საერთო მნიშვნელობის ხალხის საქმეს ხალხისავე შვილნი არ გადალობებოდნენ წინ.

ხსენებულმა გამგეობამ დაარსა ფონდი სახალხო სახლის აშენებისათვის; ამ მიზნისთვის მან მიჰმართა ადგილობრივ დაწესებულებებს: კოოპერატივს და სახალხო ბანკს დახმარებისათვის. პირველმა გადასდო ფონდის გასაძლიერებლათ 10,000 მან. რომელსაც საზოგადო წევრთა კრებამ დასტური დასცა. სახალხო ბანკის მაშინდელმა საბჭომ ამავე მიზნისთვის ამდენივე გადასდო,-ხოლო წლიურ საზოგადო კრებაზე კონტრ-დადგენილება გამოუტანეს სხვა და სხვა პირების სხვა და სხვა მოსაზრებებით, რითაც სამუდამოთ თუ არა კარგახნობით მაინც ჯვარი დაუსვეს ამ დიად იდეას სახალხო სახლის აშენებისას. აქედან იწყება ხსენებულ გამგეობის მოქმედების შეჩერება, რასაც ხელი შეუწყო მის წევრთა სხვა და სხვა ალაგას წასვლამაც.

დღეს ამ გამგეობას ჰყავს თვისი მემკვიდრე, რომელიც მხნედ მუშაობს, კარგ ძალებს უყრის თავს და ამავე დროს სახალხო სახლის ფონდის გასაძლიერებლათაც ზრუნავს. ამ ჟამად ფონდის სალაროში ხალასი ფული ითვლება 12, 238 მან. მართალია, ეს წვეთია ზღვაში, მაგრამ ის დიადი მიზანი, რომლისთვისაც არსებობს ფონდი შეუძლებელს შეაძლებინებს და არარაობისგან შექმნის რამეს—**სახალხო სახლს** ხსენებული ენერგიული გამგეობა.

ა. წ. აპრილის 18-ს დამთავრდა საზამთრო სეზონი, ხოლო 23 აპრილს გამგეობის მიერ მოწვეულ იქმნა სცენის მოყვარეთა საერთო კრება, სადაც გამგეობის თავმჯ. დ. ძეძამიძემ მოხსენება გააკეთა.

მოხსენებიდან გამოირკვა, რომ გამგეობას პირნათლად შეუსრულებია თვისი წრის მიერ დაკისრულებული მოვალეობა, რაზედაც კრებამ სრული თანაგრძნობა გამოუცხადა და სთხოვა, მომავალშიაც იგივე გამგეობა დარჩენილიყო.

გამგეობის თავმჯ. დ. ძეძამიძის და წევრის ნ. მელექსიშვილის კატეგორიულ განცხადება გადადგომის შესახებ კრებამ მიიღო და პირველის მაგივრათ ამოირჩია გიორგი ბეჟანიშვილი ხოლო მეორის ს. მიტიჩაშვილი,— რასაც კრება ტაშის ცემით შეხვდა.

ტრადიციისამებრ გადასწყდა ზაფხულის სეზონის დაწყებისათვის გამგეობამ მოიწვიოს გამოჩენილი მსახიობირეჟისორი ან სხვა ხელოვანი, რომლის უახლოეს მონაწილეობით ითამაშებენ ადგილობრივ დამსახურებული სცენის მოყვარენი.

**აქეთ-იქით**

---

**თეკლათის თემი** (სენ. მაზრა) ქ სენაკის მოსაზღვრეა თითქმის ყოველ მხრიდან. აქ ითვლება 1,360 კომლი, არსებობს 8 დაბალ-დაწყებითი სასწავლებელი და სამკითხველო „ნოე ჟორდანიას სახელობაზე“; როგორც გეოგრაფიული მდებარეობით, ისე თავის შეგნებულ-განვითარებული მცხოვრებლებით და კულტურული ძალებით ამ თემს პირველი ალაგი უჭირავს სენაკის მაზრის სხვა სოფლებთან შედარებით.

ადგილობრივი ახლად დაარსებული დრამატიული საზ-ბის სახალხო წარმოდგენა-სცენების მსახურთა წრემ გახსნა საზაფხულო სეზონი წარმოდგენებისა, რითაც მან ჰსურს თავის ღვაწლი დასდოს ხალხის და კერძოდ სოფლის, კულტურულად ჩამორჩენილი, მშრომელი მასსის, ფსიქოლოგიურად და ზნეობრივად გარდაქმნის საქმეს. სეზონი გახსნილი იქნა და პირველი წარმოდგენა გაიმართა 1 მაისს საერთოშორისო ინტერნაციონალური დღე-

სასწაულის აღსანიშნავად ქვედა-თეკლათის სკოლის დარბაზში, სენაკიდან დაესწრო აპოლონ წულაძე და გრიგორ ჭოჭუა. პატ. აპ. წულაძემ დამსწრე საზოგადოებას სათანადოთ განუმარტა თეატრის მნიშვნელობა საზოგადოდ, კერძოდ სოფლად და მიულოცა მათ ასეთ საქმის სულიერი თანაგრძნობა, რითაც დამსწრე საზ-ბა ძლიერ კმაყოფილი დარჩა. შემდეგ წარმოდგენილ იქნა გიგო ხეჩუაშვილის პიესა „მუშა მგოსანი“-ს დრამა 3 სურ. იოსებ დავითაშვილის ცხოვრებიდან და „მასესხეთ 25 მანეთი“, ვოდ. ქვაყუდელისა. სამაგალითო შთაბეჭდილება მოახდინა პიესა „მუშა-მგოსანმა“ მაყურებელზე. მარტივი და ნათელი წარმოდგენა იქონია სოფლის ხალხმა ვოდევილი „მასესხეთ 25 მანეთზე“, სადაც საკმაოდ გამოხატულია თანამედროვე ცხოვრება. ძქ მათთვის ყველაფერი სასაცილოა. აი, როდესაც ჯერ კიდევ მოსამსახურე მიმართავს თავის ქალბატონს იმერული კილოთი: „ბატონობა რამდენი ხანია მოისპო ბატონო. იმ მამაცხონებულმა ჟორდანიამ რომ გადაუსვა ლაღა, სულ ერთიანად გაათანასწორა ბატონი და გლეხი, მღვდელი და ერი“, ან კიდევ „მარტო გაფხეკილი თავით რომ იძახოდა ბატონი ვარო, იძახეთ რამდენიც გინდათ, აი მამულები ქე ჩამოგართვენ ბიძია და აწი თუ არ იმუშავებ ქე გამოგიხმებათ მუცელი შიმშილით“. აქ ხალხი უსაზღვრო სიცილშია. საერთოდ სცენის მოყვარეებმა, მიუხედავად სიჩქარის გამო მცირე მომზადებისა, წარმოდგენა სასურველად ჩაატარეს. გამართულ საღამოს შემოსავალის 50% დრ. საზ-ბის გამგეობამ გადასდო გორისთვის, დანარჩენი კი დაუნაწილდა თეკლათის სახალხო სახლის ფონდს, ადგ. სკოლის და სამკითხველოს, საიდანაც გორს ერგო 1,554 მან., რომელსაც აგრეთვე ჟურნალ „თეატრი და ცხოვრება“-ს სასარგებლოდ 500 მანეთს დრ. საზ-ბა გზავნის წრფელი გულით, ჯერ-ჯერობით წარმოდგენა გაიმართა სამ ალაგას. მადლობის ღირსნი არიან გამართულ წარმოდგენებში ნივთიერი და ტეხნიკური დახმარებისთვის: 1) გუდუ და 2) სუმო გარუჩავები, 3) ბეგი კალანდარაშვილი, 4) პიმენი ჯოჯუა. განსაკუთრებული მადლობის ღირსია სენაკის სამაზრო ერობის გამგეობა, რომელმაც მოგვცა ნებართვა ფასიანი წარმოდგენების გამართვისა თეკლათის სკოლების დარბაზებში; (საზ-ბას არა აქვს საკუთარი ბინა და ჯერ-ჯერობით სცენის მოწყობილებაც), თემის გამგეობა და ადგ. სკოლების გამგენი, რომლებიც გვიწევენ იდეიური და ტეხნიკური დახმარებას. დასასრულს აღსანიშნავია ერთი გარემოება. პირველ ხანებში (სეზონის გახსნისას) ზოგიერთი „ობივატელის“ ზეგავლენით რამდენიმე ნაწილი ამხედრდა სცენის წინააღმდეგ, და მეტიც არ უნდოდა სოფლის მასსას, რომელმაც არ იცის სცენის მნიშვნელობა და წარმოდგენა სეირის ნახვა—„ცირკ-კომედია“ ჰგონია, მაგრამ დრ. საზ-ბის მოღვაწეობამ ამ გვარ მოვლენებს თან და თან ძირი გამოუთხარა და პირიქით მიუხედავათ ეკონომიური კრიზისისა და სოფლად შიმშილობისა, აუარებელი ხალხი ესწრება გამართულ წარმოდგენებს და სახალხო სცენა თეკლათში სრულ სიმპატიას პოულობს სოფლის მშრომელ მასსაში. ყველაფერი ეს შედეგია ხსენებულ საზ-ბის, მის გამგეობის და სცენის მსახურთ ენერგიული და დაუღალავი მუშაობისა. ჩვენც ვისურვებთ ნორჩ საქართველოს სხვა დაბა-სოფლებშიც, ადგილობრივ მოწინავე ინტელიგენციას გაეჩაღებინოს ასეთი და უფრო ნაყოფიერი მუშაობა ხალხის კულტურულად აღორძინების სფეროში.

**იოსებ ციველი**

# წვრილი ამბები

**ნოე ჟორდანიას** სრული თხზულებანი თვისი ხარჯით ჩოხატაურის—კოხნარის თემის სამკითხველოს გუწერა დედის ხსოვნის აღსანიშნავად აგრიფინა თედორეს ასულმა კეშელავამ.

**დღეს მეორე ქართულ კლუბში** (პლეხანოვის პროსპ. № 129) ჟურ „თეატრი და ცხოვრება“-ს 10 წ. არსებობის აღსანიშნავად იმართება დიდი სახალხო საღამო—სეირნობა—წარმოდგენა, სამუსიკო განყოფილებით. დასაწყისი საღამოს 5 ს., გასტ ნს ნაშუალამემდე.

**კომპოზიტორი ვ. დოლიძე** წალვერს გაემგზავრა, სადაც დაასრულებს ახალ ოპერას „ლეილა“-ს, რომელიც მოწონებული იყო სახელმწიფო თეატრში მსახიობთა მიერ.

**დაბა-სოფლებიდან** ცნობები მოგვდის „თეატრი და ცხოვრება“-ს არსებობის 10 წ. შესრულების აღსანიშნავად მოკლე ხანში საზეიმო საღამოების გამართვის შესახებ.

**მხცოვან მსახიობ ვლ. ალ.-მესხიშვილთან** რედაქციის სახელით საინტერვიოდ იყო ჩვენი თანამშრომელი. მ. ლვამიჩავა ინტერვიუ ვრცელია და ბევრის მხრით საყურადღებოა. დაიბეჭდება შემდეგ ნომერში.

**ი. გრიშაშვილის საღამოს** აუარებელი საზოგადოება მიიზიდა სახელმწიფო თეატრში. საღამო შინაარსიანი იყო და საერთოდ კარგად ჩაიარა.

**ახალგაზრდა პიანისტმა** თამარა შავერზაშვილმა დასწერა დუეტი ,,სადაც ვშობილვარ, გავზდილვარ‘‘ ტენორის და ბარიტონისთვის. დ.აკოფაშვილმა და ა. ჭუმბურიძემ უკვე შეისწავლეს დუეტი და შეასრულებენ დღეს, მეორე ქართულ კლუბში.

**ვანო. გიგოშვილმა** დასწერა პიესა „არსენ ჯორჯიაშვილი“ დრ 4 მოქმ. ეს პიესა ამ მოკლე ხანში დაიდგმის ორთაჭალის კლუბში.

**თეატრი-პანორამას** აშენების პროექტია შედგენილი. თეატრი განზრახულია 4000 კაცისთვის. აშენდება ყორღანოვის ქუჩასე.

**ფრონტის სასარგებლოდ** დ. ხაშურში გამართულმა საღამომ თიბათვის 5 ბრწყინვალედ ჩაიარა... საკონცერტო განყოფილებაში ისახელვს მომღერლებმა ნ. ფავლენიშვილმა, ს. გაბაშიძემ, დ. აკოფაშვილმა და ჭუმბურიძემ. დუეტი ოპ. „აბესალომ და ეთერი-“დან განმეორებულ იქმნა აკოფაშვილის და ჭუმბურიძის მიერ საზოგადოების თხოვნით. როიალთან იყო ნიჭიერი დამკვრელი ქ. ფალიაშვილის ასული.

### ა ხ ა ლ ი წ ი გ ნ ე ბ ი

**ნოე ჟორდანიას** თხზულებათა სრული კრებულის პირველი ტომი, გამოცემა ქართული ბეჭდვითი ამხანაგობისა, უკვე გამოვიდა. შეიცავს 352 გვ., დაბეჭდილია საუკეთესო ქაღალდზე, ფერადი კანით შემკული. წიგნში მოთავსებულია ნოეს 5 სურათი: სემინარიელი, სემინარია გათავებული, ჟენევაში, რუსეთის სათათბიროში და ბოლონდელი, ავტორის ფაქსიმილეთი. ეს წიგნი შეიცავს იმ წერილებს, რომელმაც 90-იან წლებში ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებას ახალი გეზი მისცა და ამ წიგნსაც ეწოდება ახალი გზა. ფასი 100 მან.

ბიბლ. ეროვნული ბიბლიოთეკა



სამეგრელოს მეორე ბათალიონი ცხინვალის ფრონტზე.

გამოვიდა

# ნოე ჟორდანიას

თხზულებათა პირველი ტომი.

**თბილისის ხელის მომწერლებმა** უნდა მიიღონ გამომცემლობის კანტორაში რუსთაველის პრ. № 26. ვისაც შემოტანილი აქვს ბე ყველა თხუთმეტი ტომის 450 მან. თითო ეკზემპლიარზედ, იმათ უნდა წარმოადგინონ ნაღდათ 70 მან.

სხვა ხელის მომწერთა მიერ შემოტანილი ბე დარჩება გამოცემის დასრულებამდის და ამ ჟამად ნაღდათ უნდა შემოიტანონ წიგნის **მთელი ღირებულება 100 მ.**

**პროვინციის ხელის მომწერლებს** ამავე წესით გაეგზავნებათ წიგნი ფასდადებით ფოსტით.

**ქუთაისში კი ხელის მომწერლები** მიიღებენ წიგნს გამომცემლობის საგენტოში ისიდორე კვიცარიძესთან.

ხელის მოწერა გაგრძელდება 15 ივლისამდის.

(5—2)

# გამომცემლობა ქართული ბეჭდვითი ამხანაგობისა

აცხადებს, რომ იგი შეუდგა წიგნების გამომცებლობას და აწარმოებს ამ საქმეს ფართო მასშტაბით.

**უკვე გამოვიდა გასასყიდათ:**

1) Красная книга (რუს. ენ.) ჯარიბისა.
2) ნოე ჟორდინიას თხუზულებათა I ტომი.

**იბეჭდება და მალე გამოვა:**

1) ახალი დროის ისტორია პროფ. ს. ავალიანისა.
2) ბუნების სარკე I ნაწ. ივ. ელიაშვილისა.
3) მსოფლიო ისტორია I, II და III ნაწილი სახალხო სკოლებისათვის ალ. წერეთლისა.
4) ბოტანიკა სეით იაშვილისა.
5) ევროპა (გეოგრაფია) მისივე.
6) ქართული ლიტერატურა მე 18 და მე 19 საუკუნეში 16 წიგნათ გ. ჯავახიშვილისა.
7) თხზულებანი შიო არაგვისპირელისა 5 წიგნათ.

წიგნების საწყობი მოთავსებულია ამხანაგობის კანტორასთან (რუსთაველის პროსპექტი № 26), საიდანაც შეიძლება გამოცემათა დაკვეთა და მიღება.

**გამომცემლობას აქვს საკუთარი სტამბა და საკაზმავი, სადაც სრულდება ყოველგვარი საქმე ჩქარა, სუფთად და ხელმისაწდომათ.** (10—1).

1910-X-1920

# მეორე ქართული კლუბი

(პლეხანოვის პროსპ. № 129).

კვირას, 27 ივნისს

ჟურნალ „თეატრი და ცხოვრება“-ს ათი წლის არსებობის აღსანიშნავად

გაიმართება მეორე

საზეიმო საღამო

# დიდი სახალხო სეირნობით

I ალების ცეკვა დრამატიული ეტიუდი 1 მოქ. ი. იმედაშვილისა

II **რედაქციაში** შარჟი 1 მოქ. ს. წერეთლისა

მონაწილეობენ: ქ-ნი გ. ივერიელი, ა. ავალიანი, ბ-ნი ვ. მატარაძე, ს. ილორელი, ს. წერეთელი, ვ. გიგოშვილი, კ. რიჟამაძე.

III **საკონცერტო განყოფილება** ქართულ საოპერო სტუდიის მომღერლები: ბ-ნი დ. აკოფაშვილი, ქაშაკაშვილი, ა. ჭუმბურიძე შეასრულებენ ქართულ რომანსებს.

**თამარა შავერზაშვილის** აკომპანიმენტით მისივე ახალ რომანსებს შეასრულებენ დ. აკოფაშვილი და. ჭუმბურიძე

**ნინო წერეთელი** ახალგაზდა ბალერინა იცეკვებს ევროპიულად აღმოსავლეთურად თარზე და როიალზე

მილოცვები

# ბალში ბუფეტი

**მუსიკა, გასართობები: პტიშვო, ყვავილებით ვაჭრობა, აუქციონი, ფოსტა და სხვა.**

**სეირნობა დაიწყება 5 საათიდან ნაშუალამევის 2 საათამდე**

წარმოდგენის დასაწყისი $8^1/_2$ საათზე

რეჟისორი: ვ. მატარაძე გამგე კომისიის დავალებით ვ. ავალიანი

**განცხადებან** მიიღება ჟურნალში დასაბეჭდ. **ფასი ზომიერია.**

რედაქტორი იოსებ იმედაშვილი გამომცემელი ქართული ბეჭდვითი ამხანაგობა

სტამბა ქართული ბეჭდვითი ამხანაგობისა, რუსთაველის პრ., № 26.